ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

16 თებერვლიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
ლუის სუარესი
ზღვარს მიღმა.
ჩემი ამბავი
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 2016 №39 (6965) ფასი: 50 თეთრი

დეპუტატები პედოფილებს მფარველობენ?

„დასავლეთ საქართველოში პედოფილია ყვავის“

გვ.2

„გაიგეთ, ხალხო, რომ ეს უბედურება მხოლოდ თბილისში არ ხდება. ჩეგიონებიდან საშინელი ინფორმაციები მოგვდის პედოფილიასთან დაკავშირებით. დასავლეთ საქართველოში ყვავის ეს უბედურება. ხონიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სენაკიდან საშინელი ინფორმაციები მოდის"

გვ.3

ომარ ნიშნიანიძე: „ქართულ ოცნებაში“ არც აფთრები არიან და არც ბებერი ნიანგები“

„ვინც წასვლას მოინდომებს, თოკით ვერ დავაბამთ“

არჩილ გამზარდია: „ბებერი ნიანგები“ არმაზ ახვლედიანმა ცხელ გულზე თქვა“

გვ.5

„ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა მისი ჩართვა საჭირო არ გახდეს“

გვ.4

ნანა კაკაბაძე: „ელისაშვილი პოლიტპატიმრებს დაემალა“

სააკაშვილის გამარჯვება უკრაინაში

გვ.3

რადა იაცენიუკის მთავრობას აღარ ენდობა

გვ.4

მამუკა გიორგაძე: „ქვეყანაში ქაოსი ხელოვნურად იქმნება“

„აშშ-ის დაზვერვის სამსახურის შეფის მთავარ გზავნილს ყურადღება არავინ მიაქცია“

ISSN 1987-9385

დეპუტატები პედოფილებს მფარველობენ?

„დასავლეთ საქართველოში პედოფილია ყვავის“

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ მომჰავღენ საქაჰთველოში პედოფილები, მფაჰველობს თუ აჰა მათ ხელისუფლება, ჰა სტანდაღუჩი ჯაღჩები გამოქვეყნდება ახლო მომავალში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი გიორგი ბუჩჯანაძე ესაუბრება.

– თქვენ ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ ისანი-სამგორის რაიონში პედოფილი სადარბაზოებთან ხვდება მცირეწლოვან ბავშვებს. მიმართეთ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, თუ დაიწყო ამ საქმეზე გამოძიება?

– ამასთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა დამიბარეს და მათ ჩვენება მივეცი, ვთქვი ყველაფერი, რაც ვიცოდი. მშობლები, რომელთა შვილებსაც ეს პედოფილი დაესხა თავს, სასტიკი წინააღმდეგი არიან, რომ ეს თემა გაშუქდეს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, მშობლებს არ სურთ, რომ ბავშვების ვინაობა გაჟღერდეს. მათი კარგად მესმის, იმიტომ რომ ამან, შესაძლოა, ბავშვზე უარყოფითად იმოქმედოს.

ჩემს ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ეს ძალიან კარგია, იმიტომ, რომ ამ საკითხს ახლა მეტ ყურადღებას დაუთმობს ყველა. ისანი-სამგორის მოსახლეობა ბავშვების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟღავნებს და ეს დამნაშავეს ხელს შეუშლის.

მთელი ყურადღება ახლა ამ რაიონისკენ არის მიმართული, მაგრამ გაიგეთ, ხალხო, რომ ეს უბედურება მხოლოდ თბილისში არ ხდება. რეგიონებიდან საშინელი ინფორმაციები მოგვდის პედოფილიასთან დაკავშირებით. დასავლეთ საქართველოში ყვავის ეს უბედურება. ხონიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სენაკიდან საშინელი ინფორმაციები მოდის. გარდა იმისა, რომ ეს ყველაფერი საშინელებაა, გამაღიზიანებელიც არის.

– გამაღიზიანებელი რატომ არის?

– ქალაქში კორპუსებში შესაძლოა რაღაც ხდებოდეს და ვერ გაიგო, მაგრამ რაიონებსა და სოფლებში ასეთი რამის დამალვა უფრო ძნელია. ყველას ვთხოვ, ბავშვების მიმართ გაცილებით მეტი ყურადღება გამოიჩინონ. თუ ვინმეს რაიმე გადახრას შეამჩნევენ, რაღაცა ზომები მიიღონ.

– რა ზომები შეიძლება მიიღონ?

– არ არის აუცილებელი პედოფილიაში შემჩნეული ადამიანის ლინჩის წესით გასამართლება. მიმართონ სათანადო ორგანოებს და ისინი მოათავსებენ ამ დამნაშავეებს ციხეში.

მეტ ყურადღებას იმიტომ ვთხოვ ხალხს, რომ უბედურების დატრიალების შემდეგ გაუბედურებული ბავშვის ახლობელი ისეთ რამეს ჩაიდენს, რომ მას მოუწევს ციხეში წასვლა. იმის მაგვრად, რომ ის პედოფილი დასჯონ, ამ ადამიანს სჯიან. ეს ძალიან ცუდ განცდებს იწვევს. ისინი აპროტესტებენ იმას, რომ პოლიციელი მათგან იცავს მოძალადეს. კანონით ასეა და მომავალშიც დაიცავს, თუ ამ პრობლემას გონივრულად არ მივუდგებით.

– თქვენ ზემოთ თქვით, რომ თუ ვინმეს პედოფილიაში შეამჩნევენ, ამის შესახებ სამართალდამცავებს უნდა აცნობონ. არის იმის ალბათობა, რომ ისინი დაისჯებიან?

– პოლიცია ამ საქმეს გამოიძიებს და, თუ დამტკიცდა, რომ ესა თუ ის პირი პედოფილიაშია შემჩნეული, ხელს არავის დაუფარავენ. ისინი კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. ამ ხალხის ადგილი ციხეშია.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ასეთ ადამიანებს ციხის ნაცვლად საავადმყოფოში უშვებენ. რაც, ჩემი აზრით, გაუმართლებელია.

ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა თბილისში. ერთი პიროვნება, რომელმაც ბავშვზე იძალადა, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე აღიარეს ავადმყოფად და ციხის ნაცვლად საავადმყოფოში გაუშვეს. იქიდან გამოსვლის შემდეგ მან ანალოგიური დანაშაული ჩაიდინა.

ეს საზოგადოების სამართლიან გაღიზიანებას იწვევს და დროა, ამ პრობლემას შსს-მ და ჯანდაცვამ სერიოზულად მოჰკიდონ ხელი, თორემ მერე რაღაც უბედურება მოხდება და გაუბედურებული ბავშვის ახლობელს კიდევ იქით დასჯიან.

ბავშვების ფსიქიკაზე უნდა ვიზრუნოთ. თუ მათ ძალადობისგან ვერ დავიცავთ, მათგან იმავე მოძალადეს ვძერწავთ. ამ სახის მოძალადეების 70%-ზე ბავშვობაში იძალადეს.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ რაიონებიდან საგანგაშო ინფორმაციები მოდის. რამ გამოიწვია პედოფილიის ფაქტების მატება? თუ ადრეც ხდებოდა ასეთი ფაქტები და, უბრალოდ, მათი გახმაურება არ ხდებოდა?

– ასეთი ფაქტები ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ახლა რაღაც საშინელებაა, პედოფილიის პიკია. ამ საკითხზე ყოველთვის ჩუმად საუბრობდნენ, მაგრამ ახლა ისეთი პრობლემური გახდა, ყველამ ამოიღო ხმა. ძალიან მიხარია, რომ ამ თემით მედიაც დაინტერესდა. ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

– პედოფილიის ფაქტებთან დაკავშირებით თუ არსებობს რაიმე სახის სტატისტიკა?

– ამ მხრივ სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. შსს-ში მთხოვეს, იქნებ მოძალადის ვინაობა და სამოქმედო არეალი დაგვისახელოო. მათიც მესმის. თუ ზუსტი მონაცემები არ აქვთ, რეაგირება გაუჭირდებათ.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან მივიღეთ შეტყობინება, რომ სკოლებში ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტები ძალიან გახშირდა. ვთხოვთ შსს-ს, განათლების სამინისტროს, მშობლებსა და საზოგადოებას, სკოლებს მეტი ყურადღება დავუთმოთ.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა მოზარდების სუიციდის ფაქტებმა. მე არც ჭირისუფლის გაღიზიანება მინდა და არც გარდაცვლილის შეურაცხყოფა, მაგრამ მოვიკითხოთ, ამ ბავშვებს მსგავსი რამე ხომ არ შეემთხვათ.

– ამ პრობლემასთან ბრძოლის მხრივ საკანონმდებლო ბაზა რამდენად არის მოწესრიგებული?

– ამ მხრივ ნამდვილი კატასტროფაა. კანონით პედოფილებისგან ბავშვები დაუცველები არიან. მაინცდამაინც რომელიმე დეპუტატის შვილს უნდა დაესხას პედოფილი თავს, პარლამენტმა ყურები რომ გამოიბერტყოს?! როცა ვხედავთ, რომ ისინი არაფერს აკეთებენ, ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვიაქტიუროთ, უნდა მივაკითხოთ ამ დეპუტატებს და ვუთხრათ, რომ მათი საქმე მხოლოდ მაღალი ხელფასის აღება არ არის. საჭიროა მათი შეფუცხუნება, თორემ მათ ეს პრობლემა არ აინტერესებთ. მათთვის მთავარი საკუთარი ბიზნესის ლობირებაა.

სახელმწიფო არც ბავშვთა პროსტიტუციის ასალგმად დგამს ნაბიჯებს. ეს საკითხი საერთოდ აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა. ამ საკითხზე ჯონდი ბაღათურიამ მაშინ ატეხა განგაში, როცა პარლამენტის წევრი იყო. კაცმა პარლამენტის ტრიბუნიდან გააკეთა საგანგაშო განცხადება და ყურადღება არავინ მიაქცია.

ახლო მომავალში ამ მიმართულებით ტელეკომპანია „იმედთან“ ერთად მხილების პროექტს ვიწყებთ. მალე საზოგადოება ძალიან სკანდალურ კადრებს იხილავს.

ამ კადრების ხილვის შემდეგ ყველა დარწმუნდება, რომ ეს ღამის ბარები პროსტიტუციის, გამომძალველობისა და კორუფციის აყვავების სიმბოლოა. ამ ბარებით ვიღაც-ვიღაცები მილიონებს შოულობენ.

– ეს სკანდალური კადრები თბილისშია გადაღებული?

– თბილისსა და ბათუმში. ამ მხრივ ნამდვილი კატასტროფაა. ჩვენ ვესაუბრეთ ამ ბარების ახლომახლო მცხოვრებლებს. ხალხი გადარეულია და იქიდან სხვაგან აპირებენ გადასვლას.

– სხვაგან რატომ გადადიან საცხოვრებლად?

– იმიტომ, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელია. იქ ისეთი გარემოა, რომ გამორიცხულია, ბავშვი ნორმალურად გაზარდო.

– საცხოვრებლის შეცვლას არ ურჩევნიათ, პროტესტი გამოხატონ და ეს ბარები დაახურვინონ?

– არაერთხელ გამოხატეს პროტესტი, მაგრამ საპირისპირო შედეგი მიიღეს. ხმას ვინც იღებდა, დაიბარეს და უთხრეს, რომ თუ არ გაჩუმდებოდნენ, მათ შვილებს ცუდი რამ შეემთხვეოდათ.

– ვინ დაემუქრა?

– ხელისუფლების წარმომადგენლები. ასეთ დაწესებულებებს ხელისუფლების წარმომადგენლები მფარველობენ. ამ ბარების უმეტესობა პოლიციის განყოფილებების სიახლოვეს არის. იმედია, ამ თემით შსს დაინტერესდება და რაიმე ზომებს მიიღებს.

– ამ ღამის ბარების მეპატრონეების ვინაობა ცნობილია?

– ცნობილია. ღამის ბარების უმეტესი ნაწილი თურქებს, ირანელებს, ერაყელებს, აზერბაიჯანელებსა და ოსებს აქვთ გახსნილი. ამ დაწესებულებების მეპატრონეების უმეტესობა ქალია. ეს ქალები იქით უჩივიან მოსახლეობას და ისე არიან საჩივრების დაწერაში დახელოვნებულნი, პასტასა და ფურცელს ვერ გააგდებინებ ხელიდან.

დიმიტრი ხუნდაძე: „პორნოსაიტები მოზარდებისთვის ფასიანი უნდა გახდეს, ბავშვებისთვის კი აიკრძალოს“

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, ბავშვებისთვის პორნოსაიტების წვდომის სიადვილე საფრთხეს წარმოადგენს.

მისივე თქმით, პორნოსაიტები მოზარდებისთვის ფასიანი უნდა გახდეს, ხოლო ბავშვებისთვის უნდა აიკრძალოს.

– ასეთი ტიპის ინფორმაციას შეუძლია გარკვეული რისკები შექმნას და ზიანი მიაყენოს განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებიც ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად მოიხმარენ ინტერნეტს სხვადასხვა ინფორმაციის წვდომისთვის. ვფიქრობ, გარკვეული რეგულაციები უნდა არსებობდეს და ბავშვები უნდა დავიცვათ ამ საფრთხეებისგან. ამ საფრთხეებში მე ვგულისხმობ პორნოსაიტებზე ინფორმაციის წვდომის სიადვილეს.

ინფორმაციები, რომლებიც შეიძლება ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, უნდა დაიბლოკოს, თუმცა, თუ ვინმეს ექნება სურვილი, რომ წვდომა ჰქონდეს ამ ტიპის ინფორმაციაზე, ალბათ, ასაკის გათვალისწინებით, მათ, რა თქმა უნდა, შეეძლებათ, თუნდაც გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, რომ ეს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი იყოს, – განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

ჯანდაცვის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა პროექტზე „უსაფრთხო ინტერნეტი ბავშვებისთვის“. აღნიშნული საკითხის განხილვა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დაიწყო.

ნიუსპრესი

უჩა ნანუაშვილი: „ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, კონსტიტუციაში დაფიქსირება საჭირო არ არის“

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, კონსტიტუციაში დაფიქსირების საჭიროებას ვერ ხედავს.

როგორც უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „იმ ფორმულირებითაც, რაც ამჟამად კონსტიტუციაშია მოცემული, არანაირი საფრთხე არ არსებობს“.

– ვფიქრობ, აღნიშნულ საკითხს „სამოქალაქო კოდექსიც“ საკმაოდ კარგად განმარტავს. კონკრეტული ცვლილების შეტანას ამ ეტაპზე საჭიროდ ნამდვილად არ მივიჩნევ. ის, რაც უკვე კონსტიტუციაშია შეტანილი, ქართველი საზოგადოებისთვის რაიმე პრობლემას არ ქმნის, – აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ომარ ნიშნიანიძე: „ქართულ ოცნებაში“ არც აფთრები არიან და არც ბებერი ნიანგები“

„ვინც წასვლას მოინდომებს, თოკით ვერ დავაბამთ“

შორენა მარსაგიშვილი

ახიან თუ ახა „ქართულ ოცნებაში" საბჭოთა მენტალობის მქონე ნიანგები, ეჰევიან თუ ახა პარტიის ფოიმიჰებაში დეპუტატები, ვინ ჩრება და ვინ მიდის ჯოალიციიდან? – ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ეით-ეითი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.

– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი არმაზ ახვლედიანი ჩივის, რომ საბჭოთა მენტალობის ბებერი ნიანგები პარტიის განვითარებას უშლიან ხელსო. მართლა ასეა საქმე?

– როდესაც რაიმე არ მოგვწონს, როგორც წესი, ყველაფერს საბჭოთა მენტალიტეტს ვაბრალებთ ხოლმე. გასაგებია, რომ საბჭოთა მენტალიტეტში ძველებურ აზროვნებას გულისხმობს არმაზ ახვლედიანი, მაგრამ არ შეიძლება ასე მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობის დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანეს. მათ თავიანთი სიცოცხლე სასწორზე დადეს და მათ მიმართ ასეთი ტონით საუბარი არ შეიძლება. ჩემთვის განსაკუთრებით მიუღებელია ტერმინი ბებერი აფთრები თუ ნიანგები. ერთმანეთის მიმართ ცოტა მეტი კორექტულობა და პატივისცემა უნდა გამოვიჩინოთ.

ამ თემაზე არ მინდოდა საუბარი, მაგრამ, რადგან დაგთანხმდით კომენტარზე, არმაზ ახვლედიანთან დაკავშირებით რაღაცა ამბებს გავიხსენებ.

– გისმენთ.

– მას პარტიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და როცა რაღაც პრობლემები იქმნებოდა, მასთან მივდიოდით. მასთან პარტიაში არსებულ არაერთ პრობლემაზე გვისაუბრია, მაგრამ ახვლედიანს არცერთი მათგანი არ გადაუწყვეტია. გადაწყვეტას ვინ ჩივის, მასთან შეხვედრაც პრობლემა იყო. ახლა ხომ ჩივის, რომ პარტიაში რაღაც პრობლემებია, მაშინ ისიც აგვიხსნას, თავად რატომ არაფერი გააკეთა. მას პარტიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა და ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა შეეძლო. რადგან არ გააკეთა, რა, გამოდის, ისიც ბებერი ნიანგია? ისიც საბჭოთა მენტალობისაა.

– თქვენი აზრით, რატომ არ აგვარებდა ის პარტიაში არსებულ პრობლემებს?

– ამაზე პასუხი ახვლედიანმა უნდა გაგვცეს. მან უნდა გვიპასუხოს, ვინ ან რა უშლიდა პარტიაში დემოკრატიის გაღვივებაში ხელს. პირადად მე მიმაჩნია, რომ რაც მეტი იქნება დემოკრატიის ხარისხი, მით უკეთესი იქნება პარტიისთვის.

– პარტიაში არ არის დემოკრატიულობა?

– როგორ არ არის, მაგრამ უკეთესი იქნება, მეტი დოზით იყოს. პარტიაში არსებულ პრობლემებზე ღიად საუბარი ძალიან კარგია, მაგრამ კორექტულობა არ უნდა დავკარგოთ. სად იყო ახვლედიანი, მე რომ პარტიაში არსებულ პრობლემებზე ვყვიროდი, მათ შორის, თქვენი გაზეთიდანაც, მაგრამ ყველა დამეთანხმებით, რომ კორექტულობის ჩარჩოებიდან არ გავსულვარ.

ძალიან მტკივა გული იმაზე, რომ ჩვენ 3 წლის განმავლობაში პარტიის მშენებლობა შეჩერებული გვქონდა. ჩვენი პარტიის განახლება არ მომხდარა. ისტორიკოსი ვარ და არსად მსმენია, რომ პარტია შექმნის შემდეგ ასე ყოფილიყო გაყინული. ნელ-ნელა რომ გვემუშავა, ახლა ამდენი სამუშაო არ დაგვეყრებოდა თავზე.

– მოდით, ისევ საბჭოთა მენტალობის ნიანგებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ვინ ჰყავს მხედველობაში ახვლედიანს?

– შესაძლოა, მეც ნიანგად მიმიჩნევს, მაგრამ ასე არაა საქმე. ჩემზე დიდი ანტინაცი საქართველოში არ მეგულება. ალბათ, სხვებიც ასე თვლიან. რაღაც შეცდომები შეიძლება ყველას გვქონდა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჩვენს პარტიაში არც აფთრები და არც ბებერი ნიანგები არ არიან.

სხვებზე ვერ გეტყვით, მაგრამ პირადად მე საბჭოთა მენტალობა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დავტოვე. ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ქუთაისში ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. ქუთაისში პირველი ანტისაბჭოთა მიტინგი ჩავატარე მე. აქედან გამომდინარე, მე ვერ დამაბრალებ საბჭოური მენტალიტეტის ტარებას.

ასაკის გამო თუ ვინმეს აქვს ჩვენთან პრეტენზია, მაშინ მოვიდნენ და გამეჯიბრონ სამშობლოს სიყვარულში. დემოკრატიული აზროვნებითაც ბევრ ახალგაზრდას ვაჯობებ, ასე მგონია.

– პარტიაში არსებული დაძაბული ვითარება თქვენი მომხრეების დაბნევას ხომ არ გამოიწვევს, რაც თავისთავად თქვენი ოპონენტების წისქვილზე დაასხამს წყალს?

– დაასხამს და თანაც როგორ. ამის მიუხედავად, ჩვენ კრიტიკულ აზროვნებაზე უარი არ უნდა ვთქვათ. ის აუცილებელია. თვითკრიტიკის გარეშე პარტია ვერ განვითარდება, ოღონდ ერთმანეთისთვის ტურების თუ ნიანგების ძახილს უნდა მოვერიდოთ.

– ზემოთ აღნიშნეთ, პარტიის მშენებლობა 3 წელი შეჩერებული იყოო. არჩევნების წინ ამ ჩავარდნის ამოქაჩვას შეძლებთ?

– უნდა შევძლოთ. არჩევნებისთვის მოსამზადებლად რაღაც პროცესები რომ დაწყებულია, ეს ნამდვილად ვიცი. დეტალებზე საუბარი არ შემიძლია, რადგან ამას შორიდან ვადევნებთ თვალს. დეპუტატებთან რაღაცების შეთანხმება არ ხდება და ბევრი რამ არ ვიცით.

– რატომ არ ხდება თქვენთან ამის შეთანხმება?

– ვერ გეტყვით. იმ რაიონებზეც კი არაფერს გვეკითხებიან, საიდანაც ჩვენ ვართ წარმოშობით.

– რატომ ხდება თქვენი დაიგნორება?

– ეს მათ უნდა ვკითხოთ. არადა, თუ არ დავეხმარებით, ხელს ნამდვილად არ შევუშლით. შესაძლოა თვლიან, რომ ჩვენ პარლამენტში მოხვედრაზე განვაცხადებთ პრეტენზიებს. სულ არ ვაცხადებ პრეტენზიას, ამიტომ ის მაინც მკითხეთ, ჩემს ქალაქში ვინ ვინ არის. იმას ხომ მაინც ვეტყვი, ქუთაისში ვინ იდგა ჩვენ გვერდით და ვინ იყო ნაცების მომხრე. ქუთაისში „ქართული ოცნების“ ოფისი რომ გავხსენი, მაშინ ზოგიერთი ჩემი კოლეგა სადღაც იყო დამალული.

უარს არ ამბობენ ჩვენს ჩართულობაზე და გვეუბნებიან, თქვენს აზრს გავითვალისწინებთო, მაგრამ საბოლოო ჯამში პოსტფაქტუმ ვიგებთ, რომ ეს ასეა და ეს ისეა. ჩვენ არაფერს გვეკითხებიან და მერე ნუ გაუკვირდებათ, თუ ნაციონალები შემოეპარებათ.

ჩვენ არაფერს გვეკითხებიან და მერე ნუ გაუკვირდებათ, თუ ნაციონალები შემოეპარებათ

– ნაციონალები ახსენეთ და მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, შემოდგომაზე ხელისუფლებას გადავიბარებთო. არის ამის ნიშნები?

– ნუგზარ წიკლაურის გადაბარებული არ გაიშვა. როგორ შესტკივათ ქვეყანაზე გული, ეს რამდენიმე დღის წინაც გამოჩნდა. გარემოს დაცვის კომიტეტზე შემოცვივდნენ და 3 ხის გადარგვის გამო ქარიშხალი დაატრიალეს, ლამის დაგვარწმუნეს, რომ ხეების დაცვა მათთვის უმთავრესია, ამ დროს, როგორც კი დაიწყო ტყის კანონის განხილვა, ეგრევე გაცვივდნენ კომიტეტიდან. აი, ეს არის მაგათი დამოკიდებულება საქმისადმი.

მათზე საინტერესო რამე თქვა ჩემმა კოლეგა გია ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, რაც ნაციონალებისთვისაა მიუღებელი, ის არის ქვეყნისთვის კარგი. მინდა, რომ ეს ჩვენმა მოსახლეობამაც გაითავისოს, მაგათ დემაგოგიას და იაფფასიან პოპულიზმს არ აჰყვეს.

– თქვენ რას სთავაზობთ ამის სანაცვლოდ, შეუსრულებელ დაპირებებს?

– შეუსრულებელ დაპირებებს რატომ? ჩვენ ძალიან ბევრი დაპირება შევასრულეთ. უზარმაზარი ნაბიჯები გადავდგით ქვეყნის განვითარების საქმეში. უბრალოდ, ამ ყველაფრის ხალხამდე მიტანა კარგად ვერ მოვახერხეთ. არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ პიარი არ გვივარგა, თორემ ძალიან ბევრი დაპირება შევასრულეთ.

– ბევრიც ვერ შეასრულეთ.

– რაღაცები მართლაც ვერ შევასრულეთ, არ არსებობს დედამიწაზე ხელისუფლება, რომელიც თავის წინასაარჩევნო დაპირებებს 100%-ით ასრულებდეს. ყველაზე მეტად ჩვენ განვიცდით ამ შეუსრულებელ დაპირებებს. მსოფლიოში ისეთი პროცესები წავიდა, რომლებმაც სერიოზულად შეგვიშალა ხელი. ნელ-ნელა ყველაფერი გამოსწორდება.

– მოდით, კოალიციაში შექმნილ ვითარებაზეც ვისაუბროთ. გავრცელებული ინფორმაციით, ეროვნული ფორუმი და მრეწველები კოალიციის დატოვებას აპირებენ. არის ამის რაიმე ნიშნები?

– ადრე ამბობდნენ, რომ კოალიციიდან რესპუბლიკელები მიდიოდნენ, ახლა – მრეწველები და ეროვნული ფორუმი. ხვალ, შესაძლოა, სხვაზე ითქვას რაიმე. რამდენადაც ვიცი, კოალიციის დატოვებას არავინ აპირებს. არჩევნებამდე, ალბათ, ამ სახით მივალთ. შემომატებით შესაძლოა ვიღაცები შემოგვემატონ. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაცა ჩვენგან წავიდეს. წასვლის სურვილი ვისაც ექნება, თოკით ნამდვილად ვერ დავაბამთ.

შორენა მარსაგიშვილი

სააკაშვილის გამარჯვება უკრაინაში

როგორც მოსალოდნელი იყო, 16 თებერვალს უკრაინაში დიდი ამბები დატრიალდა. საკანონმდებლო ორგანომ დანაპირები შეასრულა და მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებაზე დაიწყო მსჯელობა, რაც მიხეილ სააკაშვილის დიდ გამარჯვებად შეიძლება შეფასდეს.

რადა იაცენიუკის მთავრობას აღარ ენდობა

მაიდნის შემდეგ მოსული მთავრობა უკრაინელებისთვის მალე გახდა მიუღებელი. პრემიერი იაცენიუკი არაერთხელ ამხილეს კორუფციასა და არაეფექტურობაში. მისი ყველაზე სერიოზული მოწინააღმდეგე მიხეილ სააკაშვილი იყო.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა იაცენიუკს თანამდებობის დატოვებისკენ რამდენჯერმე მოუწოდა. ბოლო მოწოდება მან რამდენიმე დღის წინ მიუნხენიდან გააკეთა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ თანამდებობის დაკავება სწორედ ოდესის ოლქის გუბერნატორს სურს. სააკაშვილმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო.

ამასობაში უკრაინის უმაღლეს რადაში პეტრო პოროშენკოს ბლოკის ფრაქციის თავმჯდომარე იური ლუცენკომ პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ რეზოლუციის პროექტი შეიტანა.

სააგენტო „უნიანის“ ცნობით, კანონის შესაბამისად, რეზოლუცია მიღებული იქნება, თუ მას მხარს დაუჭერს არანაკლებ 226 დეპუტატისა.

საჭირო ხმების მოგროვების შემთხვევაში იაცენიუკის მთავრობა გადაყენებულად ჩაითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა თავის ადგილზე დარჩება, ხოლო ეს საკითხი დღის წესრიგში მეორედ ვეღარ დადგება.

გუშინ საღამოსთვის მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას მხარს 158 დეპუტატი უჭერდა.

პოროშენკოს ბლოკის გარდა, იაცენიუკის გადაყენებას მხარს ფრაქციები „ბატკალშინა“ და „სამო პომოჩი“ უჭერენ.

თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს საპარლამენტო კომიტეტებმაც. საბიუჯეტო კომიტეტმა მთავრობის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

გუშინვე უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პრემიერ იაცენიუკსა და გენერალურ პროკურორ შოკინს თანამდებობიდან წასვლისკენ მოუწოდა.

პოროშენკოს შესაბამისი განცხადება პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

– უკრაინის მთავრობამ ბევრი შეცდომა დაუშვა – ჩვენ დავიწყეთ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი რეფორმები. ხალხი მეტს ითხოვს. ნათელია, რომ საზოგადოებაც და ხელისუფლებაც ცვლილებების ტემპით უკმაყოფილოა, – ვკითხულობთ პოროშენკოს განცხადებაში.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ის უმაღლესი რადის დათხოვნის უფლებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებს.

გუშინ საღამოს ცნობილი გახდა იმის შესახებაც, რომ მთავარმა პროკურორმა შოკინმა თანამდებობა დატოვა. მან გადადგომის განცხადებით პრეზიდენტს 16 თებერვალს დილით მიმართა, საზოგადოებამ კი ამის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც პოროშენკოს განცხადებამ იხილა დღის სინათლე.

პოროშენკოს მოწოდებას იაცენიუკისადმი მიხეილ სააკაშვილი ეხმაურება და მიაჩნია, რომ უმაღლესმა რადამ მთავრობა რაც შეიძლება მალე უნდა დაითხოვოს.

– ნამდვილი ლიდერი გამოირჩევა უნარით, გადამწყვეტ მომენტში თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს მკვეთრი გადაწყვეტილებები. პრეზიდენტმა პოროშენკომ დღეს დაამტკიცა, რომ ამ თვისებებს ფლობს. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი რადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდეს და მიიღოს პრეზიდენტის მოწოდებები, გაათავისუფლოს მთავრობა, რომელიც ქვეყნის მომდევნო განვითარების მთავარ დამბრკოლებლად იქცა. დღეიდან იაცენუკის კაბინეტში გაჩერება ეკონომიკასა და ზოგადად ქვეყნის მომავალს ყოველდღიურად დაამძიმებს, – წერს სააკაშვილი ფეისბუქზე.



სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნანა კაკაბაძე: „ელისაშვილი პოლიტპატიმრებს დაემალა“

ნონა ცაბაძე

პოლიტპატიმრებისა და ალეკო ელისაშვილის სკანდალმა პარლამენტში გადაინაცვლა. ელისაშვილი საკომიტეტო მოსმენაზე იყო დაბარებული, თუმცა მან მისვლაზე უარი განაცხადა. „ახალი თაობა“ შეხვედრის დეტალებზე უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა.

– ქალბატონო ნანა, პარლამენტში გამართულ შეხვედრას არც ელისაშვილი დასწრებია და არც საპარლამენტო უმცირესობა. რატომ არ მოვიდნენ?

– არც ერთი ოპოზიციური ძალა არ დასწრებია ამ საკომიტეტო მოსმენას. ეს შეხვედრა იყო პოლიტპატიმრების ინიციატივა. მათ თხოვნით მიმართეს პარლამენტს, რომ ჩატარებულიყო მოსმენა და მოწვეული ყოფილიყო ყველა ის პირი, ვისაც რაიმე პრეტენზიები გააჩნდა პოლიტპატიმრების სიებთან დაკავშირებით. კონკრეტულად იყო მითითებული, რომ ამ შეხვედრაზე უნდა ყოფილიყო ალეკო ელისაშვილი, თუმცა ის დაიმალა და არ მოვიდა.

– მან შოუ უწოდა ყოველივე ამას.

– რა უწოდა, ეს მისი პრობლემაა, მაგრამ ფაქტია ის, რომ პოლიტპატიმრები ყველა საქმიდან იყვნენ. მათ აინტერესებდათ ალეკო ელისაშვილისგან, თუ რას ეყრდნობოდა მისი ეს გაუაზრებელი თუ მიზანმიმართული განცხადება. ეს შოუ იყო თუ სპექტაკლი, მობრძანებულიყო და იქ ეთქვა. ამაზე კარგი არენა სად უნდა ყოფილიყო, რომ მოსულიყო და ხალხისთვის საჯაროდ ეთქვა, რა პრეტენზიებიც გააჩნდა.

– ის აცხადებს, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.

– ის იმას ითხოვს, რაც ზუსტად იცის, რომ არ შეიძლება მოხდეს და ვერ გაკეთდება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამის საფუძველი არ არსებობს. საგამოძიებო კომისია რას იზამს? ადამიანებს დაკითხავს, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს თუ რა?! საგამოძიებო კომისია არის პიარისთვის! საგამოძიებო კომისიაზე უკეთესი არ იყო, პარლამენტის ტრიბუნა დაუთმეს, ამდენი დეპუტატი, პოლიტპატიმრები, ამაზე უკეთესი სიტუაცია რა უნდოდა?! მოსულიყო და ელაპარაკა. მაგრამ ეს უზნეო განცხადებები მას სხვა რამისთვის სჭირდებოდა.

– რისთვის?

– ახალი პოლიტიკური თამაშისთვის. აი, ამისთვის გააკეთა ეს ბინძური განცხადება და ამდენ ადამიანს მიაყენა შეურაცხყოფა. დღემდე ვერ ასაბუთებს, რას ეფუძნება მისი ეს გონივრული თუ უგუნური ეჭვები. ფაქტია, რომ პასუხის არმქონე ელისაშვილი იქ ვერ მობრძანდა.

– ნაციონალები?

– ვერ მობრძანდნენ ვერც ნაციონალები. ზურგს უკან რომ მაგრები არიან და ტლიკინებენ, რატომ ვერ დაუსხდნენ პოლიტპატიმრებს და არ უთხრეს, რომ არ იყავით პოლიტპატიმრობის ღირსი და კორუფციის შედეგად ხართ სიებში შეყვანილიო. ისინი მხოლოდ პიარისთვის აკეთებენ ამ ყველაფერს! მათ სალაპარაკო და ხმა ამოსაღები არ აქვთ არავისთან.

– ამ შეხვედრაზე პრეზიდენტის კრიტიკაც გაისმა, მარგველაშვილს უნდობლობა გამოუცხადეს. რით დაიმსახურა უნდობლობა პრეზიდენტმა?

– შეხვედრაზე ეკა ბესელიას და კახა კოჟორიძეს შორის მოხდა შელაპარაკება. იქ კახა კოჟორიძე იყო პრეზიდენტის ინიციატივით მოსული. მან დააფიქსირა პოზიცია, რომ ის უერთდებოდა პოლიტპატიმრების მოთხოვნას საქმეების გადახედვასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს ადამიანები იყვნენ უსამართლოდ დაპატიმრებულები და მათი საქმეების გადახედვა უნდა მოხდეს. სწორედ ამაზე უპასუხა კოჟორიძეს ეკა ბესელიამ, რომ ეს არის ორმაგი სტანდარტი.

– რატომ არის ორმაგი სტანდარტი?

– ეკამ უთხრა, რომ, ერთი მხრივ, ამბობთ, ეს ადამიანები უსამართლოდ იყვნენ დაპატიმრებული და მათი საქმეები უნდა გადაიხედოს და, მეორე მხრივ, ალეკო ელისაშვილზე, რომელმაც ცილი დასწამა პოლიტპატიმრებს, ამბობთ, რომ ეს ადამიანი პატიოსანი და მართალი ადამიანიაო. როგორ შეიძლება იმავდროულად პოლიტპატიმრებიც იყვნენ მართლები და, მეორე მხრივ, ელისაშვილიც იყოს მართალი.

– დადგება ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი გაირკვევა, რომ ეს იყო ცილისწამება?

– დღევანდელი ხელისუფლება იმდენად სუსტია, რომ ეს ეჭვს იწვევს. სამწელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებს პოლიტპატიმრის სტატუსი მისცეს. ეს ადამიანები, ციხიდან გამოსვლაზე მეტად, ითხოვდნენ თავიანთი საქმეების გადახედვას. მათ თავისუფლება იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც მათი საქმეების გადახედვა და ყველაფრისთვის თავისი სახელის დარქმევა. ითხოვენ, საზოგადოებამ ნახოს მათი საქმეები, თუ რა საქმეებისთვის ისხდნენ ციხეებში. ხელისუფლება, რომელიც ისეთი უსუსურია, რომ ამას ვერ ახერხებს, ის შეძლებს გაპიარებული ელისაშვილის მიმართ იყოს პრინციპული და სამართლიანი?!

– ფიქრობთ, რომ ვერ შეძლებს ელისაშვილთან დაპირისპირებას?

– ესენი ვერ შედგნენ ხელისუფლებად. ან პროკურატურა შეძლებს იყოს კანონის ქვემდებარე და კანონიდან გამომდინარე მიუდგეს ელისაშვილის ამ ცილისწამებებს?! ან დაამტკიცოს ელისაშვილმა, რასაც ლაპარაკობს, ან აგოს პასუხი იმაზე, რასაც ბედავს ამდენი ხნის განმავლობაში.

მამუკა გიორგაძე: „ქვეყანაში ქაოსი ხელოვნურად იქმნება“

„აშშ-ის დაზვერვის სამსახურის შეფის მთავარ გზავნილს ყურადღება არავინ მიაქცია“

მარიამ მჭედლიშვილი

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველოში წინასაარჩევნოდ ხდება ნეგატიური პროცესების ინსპირირება და აქტუალური თემების წამონევა, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს.

– ოპოზიციის ნაწილი აპროტესტებს იმას, რომ ხელისუფლება არ აუმჯობესებს საარჩევნო გარემოს. ამასთან დაკავშირებით გაისმის განცხადებები მოსალოდნელ რევოლუციაზე.

– ხელისუფლებას საარჩევნო პროცესი ძალადობისაკენ მიჰყავს, თუმცა, არც ის ოპოზიცია, რომელიც ინტერპარტიულ ჯგუფშია გაერთიანებული, აყენებს აუცილებელ საარჩევნო მოთხოვნებს. საარჩევნო სიები საერთოდ ამოღებულია დღის წესრიგიდან. სია უნდა გასწორდეს აღწერის შემდეგ მიღებული შეცვლილი მონაცემების საფუძველზე, მაგრამ ეს არ ხდება. ამ ოპოზიციისგან არ არის მოთხოვნილი ასევე ერთნაირი სასტარტო პირობები საარჩევნო სუბიექტებისათვის. ჩვენ მოწმე ვართ საარჩევნო ადმინისტრაციების უზურპაციისა რეგიონებში. სიტუაცია მძიმეა, მაგრამ რევოლუციური არ არის. განცხადებები რევოლუციაზე ხელისუფლების ვითომ დასაშინებლად კეთდება. ასეთი განცხადებების ავტორები ვერ ახდენენ მოსახლეობის მობილიზებას, ორგანიზებას და სტრუქტურიზებას. ისინი ფსევდოოპოზიციური სივრცის მონოპოლიზებას ცდილობენ. ამ ოპოზიციონერების უდიდესი ნაწილი ინსტრუმენტია სხვა პოლიტიკური ჯგუფის ხელში.

– მდგომარეობა მაინც არასტაბილურია.

– ქვეყანაში ქაოსი ხელოვნურად იქმნება. რატომღაც არავინ მიაქცია აშშ-ის დაზვერვის შეფის მთავარ გზავნილს.

– კლაპერის განცხადებებს გამოხმაურებები მოჰყვა.

– ძირითადად, გამოეხმაურნენ საგარეო ორიენტაციას და მისი შეცვლის თემას. აშშ-ის დაზვერვის ხელმძღვანელმა ხელისუფლება გააფრთხილა. მან განაცხადა, რომ არჩევნების წინ საქართველოში შეიქმნება ქაოსი. ამაში თავის როლს შეასრულებს ეკონომიკური მდგომარეობა. ფაქტია, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს და რუსეთის აგენტებს საქართველოში ძალიან უნდათ ქაოსის მოწყობა. ხელისუფლებამ უნდა გაანალიზოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის ეს განცხადებები, რომელიც ტყუილუბრალოდ არ კეთდება. სამწუხაროდ, ჩანს, რომ ხელისუფლებას არანაირი დასკვნები არ გამოაქვს. პირიქით, ის თავისი მოქმედებებით ხელს უწყობს ქაოსის შექმნას. ახლაც იგეგმება საკადრო კარუსელი და სპექტაკლები.

– შექმნილ სიტუაციაში ალბათ, ხელისუფლებამ, პირველ რიგში, ეკონომიკას უნდა მიხედოს. გარკვეული ინიციატივები და ნაბიჯები ამ სფეროში არსებობს.

– ეს რეფორმები კი არა, ეპიზოდებია. გვეუბნებიან, ესტონური მოდელი გადმოგვაქვსო. სინამდვილეში, ამ მოდელიდან ერთ ნაწილს იღებენ. ამ ინიციატივებით მოსალოდნელია შემოსავლების შემცირება, ამიტომ ხარჯებიც უნდა შემცირდეს. თუ ხარჯებია შესამცირებელი, მაშინ ახლავე რატომ არ ზღუდავენ ადმინისტრაციულ ხარჯებს? ნახევარზომებს ატარებენ და იმიტომ!

– ანუ, რეფორმები არასრულყოფილია?

– რეფორმები არ ტარდება. ამიტომაა ასეთი მდგომარეობა ეკონომიკაშიც, სასამართლო სისტემაშიც. ამიტომ არ არის ნამდვილი თვითმმართველობა. არც დასავლეთის ინსტიტუტებთან მუშაობაა. „ქართულმა ოცნებამ“ დღემდე ვერ მოაგვარა ლობისტური საქმიანობა და ვერ ააწყო ურთიერთობები ევროპის უმსხვილეს სახალხო პარტიასთან. მოსამართლეები ჩამოყალიბდნენ ერთ კასტად და აკეთებენ პოლიტიკურ განცხადებებს. ყველაფერი მიდის საზოგადოების პოლარიზაციისა და ქაოსისაკენ. ხდება ხელოვნური და დამაპირისპირებელი თემების წამოწევა. ასეთებია: ერთსქესიანთა ქორწინებები, რელიგიური გრძნობების შელახვის შესახებ კანონპროექტის შეტანა-გამოტანა, ასევე პირადი და ჯგუფური დაპირისპირებები.

– პირად და ჯგუფურ დაპირისპირებაში რას გულისხმობთ?

– თემებს ეკა ბესელიას პირადი ცხოვრებით დაწყებული, პოლიტპატიმრების საქმეებით დამთავრებული. რა გახდა, რომ აქამდე ვერ გადახედეს პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირების არც ერთ საქმეს? ესეც ხომ ნახევარზომებია! არ ხდება დასავლეთის რეკომენდაციების გათვალისწინება რეფორმების, საჯაროობის მხრივ. ეს ყველაფერი ერთად ერთხელაც იფეთქებს და ზიანი მიადგება ქვეყანას.

– ამდენი პრობლემით ისედაც იქმნება ქაოსი. ამ პირობებში რუსული პროპაგანდის გაძლიერებაზე აქცენტის გაკეთება რას ნიშნავს?

– ამ ყველაფრით რუსეთისთვის ხელსაყრელი სიტუაცია იქმნება. რუსულმა პროპაგანდამ, მართლაც, ამაზე მეტი რაღა უნდა გააკეთოს? ქართული მედია კლანური გარჩევებითაა დაკავებული. ზოგ ტელეკომპანიას ხან ერთი მეწილე გამოუჩნდება, ხან – მეორე. საქართველოს ხელისუფლება ყურს არ უგდებს დასავლელი პარტნიორების გაფრთხილებას. ერთხელ, 2008 წელს, ომის წინ, კონდოლიზა რაისმა, ვალტერ შტაინმაიერმა გააფრთხილეს საქართველოს ხელისუფლება. ახლა ისევ გვაფრთხილებენ.

– ანუ, სახიფათოა საქართველოში მიმდინარე პროცესები და არა ის, უყურებს თუ არა მოსახლეობის ნაწილი რუსეთის არხებს?

– ჩვენ ამ განცხადებებით დიპლომატიურად გვაფრთხილებენ. ხომ არ ეტყვიან საქართველოს ხელისუფლებას, ცუღლუტობა და რუსეთის წინაშე ერთი ადგილის თამაში შეგატყვეთო! ამიტომ საუბრობენ რუსეთის მხრიდან ზეწოლასა და რუსული პროპაგანდის საშიშროებაზე.

საქართველოში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდის

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით დღეს, 17 თებერვალს, თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ ეწვევა.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ მინისტრთან გიორგი კვირიკაშვილთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან მიხეილ ჯანელიძესთან.

შეხვედრებზე მხარეები განიხილავენ თურქეთ-საქართველოს შორის ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების საკითხებს.

ვიზიტის ფარგლებში მევლუთ ჩავუშოღლუ პატივს მიაგებს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული მებრძოლების ხსოვნას და გვირგვინით შეამკობს გმირთა მემორიალს.

19 თებერვალს კი მევლუთ ჩავუშოღლუ მონაწილეობას მიიღებს აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრების სამმხრივ შეხვედრაში.

მინისტრები ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალის პროექტის ფარგლებში კარწახის მონაკვეთს მოინახულებენ.

ნიუსპრესი

არჩილ გამზარდია: „ბებერი ნიანგები“ არმაზ ახვლედიანმა ცხელ გულზე თქვა“

„ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა მისი ჩართვა საჭირო არ გახდეს“

გულიკო ბალაძე

ხა ინვევს „ქართული ოცნებაში" დაპირისპირებას? მოვიდა თუ ახა „ოცნების" წმენდის დრო? ვინ უნდა მოახდინოს „ქართული ოცნების" საარჩევნო სიის ფორმირება? ხა ხოლი შეიძლება ითამაშოს ბიძინა ივანიშვილმა ამ პროცესში? – ამის შესახებ „ახალი თაობას" ანალიტიკოსი არჩილ გამზახდია ესაუბრა.

– ბატონო არჩილ, არმაზ ახვლედიანი „ქართულ ოცნებას“ მოუწოდებს, პარტიას „ბებერი პოლიტიკური ნიანგები“ ჩამოაშოროს. თქვენი დაკვირვებით, ვინ არიან ისინი? ახლა „ოცნების“ წმენდა დროა?

– ნებისმიერი პოლიტიკური პარტია უნდა განახლდეს, ახალი სახეებით შეივსოს. ეს ნორმალური პროცესია. პოლიტიკურ პარტიებში პატარ-პატარა დაპირისპირებებიც ნორმალურია, მაგრამ ღია, პარტიის გარეთ გამოტანილი დაპირისპირება და პიროვნული კონფლიქტები ნორმალური არ არის. მე ბატონ არმაზს ვიცნობ. ის საკმაოდ ინტელიგენტი, აკადემიური ადამიანია. ამიტომ გასაკვირია ასეთი, ძალიან უხეში ფორმით ბებერი ნიანგების კვალიფიკაციის მიცემა. ვფიქრობ, ძალიან ნაჩქარევი განცხადებაა, გაბრაზებულ გულზე გაკეთებული. „ქართულ ოცნებაში“ რაც დრო გავა, შიდა დაძაბულობა გაიზრდება, რადგან ცვლილებებია დაანონსებული.

– ცვლილებების მოლოდინი იწვევს დაპირისპირებას?

– ადამიანებმა არ იციან საკუთარი პერსპექტივები „ოცნებაში“. საარჩევნო სიაც არ არის ჩამოყალიბებული, არ გაეცა პასუხი, ვინ რა სახით იქნება წარმოდგენილი. საარჩევნო კამპანიაც არ არის დაწყებული. ეს იწვევს დაძაბულობას, რაც მაღალ დონეზეა აწეული. არიან გარკვეული სუბიექტები, რომლებიც კოალიციაში სხვა სუბიექტებთან დადებით ურთიერთობაშიც არ არიან, რაც უფრო უხერხული და უხეში სახით წარმოჩნდება დროთა განმავლობაში.

„ქართული ოცნება“ ბევრს შრომობს, მაგრამ არიან თოფაძე და მისი მსგავსი პიროვნებები, რომლებიც საოცარ განცხადებებს აკეთებენ. სხვების შრომა ამით წყალში იყრება. შიგნით ყველას ჰყავს თავისი ლობი. ამ ლობის ფარგლებში ადამიანების შრომა ტყუილად არ უნდა იკარგებოდეს.

– კოალიციის შიგნით ვინ არიან გავლენიანი ადამიანები?

– გარკვეული ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არ მინდა, არასწორად დავასახელო. არსებობენ გავლენიანი დონეები, გავლენიანი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი სამეგობრო ჰყავთ, თავიანთი გუნდები და იბრძვიან. ასე ხდება საქართველოში არსებულ შედარებით მსხვილ პოლიტიკურ ძალებში.

– ამერიკული და ევროპული გამოცდილება როგორია?

– იქ თამაშის სხვაგვარი წესები, მეთოდები და პოლიტიკური ბრძოლის სხვა იარაღები აქვთ. საქართველოში თუ პოლიტიკურ შეცდომას უშვებენ, წინასწარ ხდება დაზღვევა, რომ შემდგომში სხვა პოლიტიკურ სივრცეში გაიკაფონ გზა. როგორც ჩანს, არმაზ ახვლედიანი და პოლიტიკური გუნდის გარკვეული შიდა ნაწილი ერთმანეთთან ვერ ურთიერთობენ. სასურველია, ამგვარ დაპირისპირებებს პარტიის შიგნით ჰქონდეს დახვეწილი პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, ვიდრე ეს ყველაფერი გარეთ გამოვიდეს,

– თოფაძეზე თქვით, ხელს უშლის გუნდის მუშაობასო. „ბებერ პოლიტიკურ ნიანგებში“ თოფაძე შედის?

– მე ვიცი თოფაძის წონა „ქართულ ოცნებაში“. არა მგონია, თოფაძეს „ქართულ ოცნებაში“ საერთოდ წონა გააჩნდეს, მაგრამ შეიძლება ამ შემთხვევაში ეს მეტაფორა მას სულაც არ ეხებოდეს და ეხებოდეს მათ, ვინც სარგებლობს დიდი გავლენით ან თავიანთი საპარლამენტო მუშაობით დატოვეს ასეთი აზრი. ეს ეხება ისეთი ტიპის ადამიანებს, რომლებსაც გარედან ნიანგობას ასე ადვილად ვერ შევამჩნევთ. მათ გავლენებზე მეტად მათი შიდა გავლენებია მნიშვნელოვანი, რომლებიც ამა თუ იმ სოციუმს რეალიზაციაში ხელს უშლიან.

– როდესაც „ბებერ პოლიტიკოსებზეა“ საუბარი, სააკაშვილი მახსენდება, რომელმაც 40 წელზე მეტი ხნის ადამიანები პოლიტიკური სივრციდან გააძევა. ეს ყველაფერი ერთგვარი ასაკობრივი ცენზის დაწესებას ხომ არ ჰგავს?

– არა მგონია, ამას ასაკობრივ ცენზთან ჰქონდეს კავშირი. ვფიქრობ, ეს ფრაზა კონკრეტული სუბიექტების გასაგონად ითქვა. ასაკობრივი დისკრიმინაცია ზოგადად მიუღებელია. ეს ახვლედიანსაც კარგად ექნება გაცნობიერებული.

– „ნიანგები“ „ოცნების“ პოლიტიკურ ცხოვრებას ანგრევენ?

– ვერ გეტყვით. ვფიქრობ, აქ რამდენიმე ადამიანზეა საუბარი. ეს არის პატარა შიდა დაპირისპირება, რომელიც გარეთ გამოვიდა. ხვალ და ზეგ შეიძლება ახვლედიანმა „ბებერი ნიანგების“ ნაცვლად გარკვეული სახელი და გვარი დაასახელოს.

– ახვლედიანს აწუხებს გადაწყვეტილების მიმღებთა შორის „არადემოკრატიულად მოაზროვნე“ ადამიანების ყოფნა. თქვენ თუ ხედავთ ასეთ ადამიანებს გადაწყვეტილების მიმღებთა შორის?

– მე საქართველოში დემოკრატიულად მოაზროვნე ძალიან ცოტა ადამიანს ვხედავ. ჩვენში პოსტსაბჭოური მენტალობა ღრმად არის გამჯდარი. ის თაობაც კი, რომელსაც შეხება არ ჰქონია საბჭოთა პერიოდთან, ხშირად არადემოკრატიულად არის განწყობილი. ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთის მტრები არიან, ერთმანეთის აზრს პატივს არ სცემენ, დემოკრატიულ აზროვნებაზე ლაპარაკი ზედმეტია. პოლიტიკურ სპექტრში მით უმეტეს ძალიან იშვიათად ვხედავ დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანებს.

– გადაწყვეტილების მიმღები პოლიტიკოსები ამ ქვეყანაში ვინ არიან ანუ პირველ კაცებს შორის არიან არადემოკრატები?

– უშუალოდ კოალიციის შიგნით ლიდერებზეა ლაპარაკი, რომლებსაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნიათ. ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი გააკეთა, რომ გადაწყვეტილების მიმღებად ივანიშვილი წარმოედგინა. მე კარგად ვიცი, რომ ამ ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღები პირი ბიძინა ივანიშვილი არ არის. ბიძინა ივანიშვილი ძალიან იშვიათადაა გადაწყვეტილების მიმღები. უფრო ის ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას, რომლებსაც გადაწყვეტილების უფლებამოსილება გააჩნიათ. მეც გამოვიარე ის, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირები შორს იყვნენ სწორი ქმედებისა და დემოკრატობისგან. ეს არ არის სიახლე. არმაზ ახვლედიანიც თავისი პოლიტიკური წარსულით სწორედ იქ ტრიალებდა.

– მოქალაქეთა კავშირში იყო. მისგან ასეთი განცხადებები რამდენად მისაღებია?

– განცხადებების გაკეთების უფლება ყველას აქვს. არმაზ ახვლედიანს კარგად ვიცნობ და არ არის დასაკარგი ადამიანი, მით უფრო – სახელისუფლებო პარტიისთვის.

– რამდენად წარმოგიდგენიათ „ოცნებაში“ ახვლედიანის დარჩენა?

– გააჩნია, გაგრძელება როგორი ექნება. თუ ეს წინააღმდეგობა ომში გადაიზრდება, ან ის დატოვებს „ოცნებას“, ან ვიღაც სხვა. ფაქტია, რომ კონფლიქტთან გვაქვს საქმე.

– პირველი რაუნდი ახვლედიანმა წააგო, შეიძლება ფიქრობს, რომ „ოცნებაში“ ვერ დაბრუნდება და ცდილობს, მას რაც შეიძლება მეტი დარტყმა მიაყენოს.

– შესაძლოა. მმართველ ძალაში შიდა ფსიქოლოგიური მდგომარეობა ზედმეტად დაძაბულია. საარჩევნო სიის ფორმირება ჭიანურდება. გვიანდება იმ ადამიანებისთვის შეთავაზებების გაკეთება, რომლებიც საარჩევნო სიაში აღარ იქნებიან.

– ბიძინა ივანიშვილს ელოდებიან, რომ სიტუაცია დაალაგოს?

– არ ვიცი. ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად ცდილობს, მისი ჩართულობა ნაკლები იყოს, თვითონ არ იყოს წამმართველი პირი. თუ აუცილებელია, რომ მან უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი, მაშინ ამბობს თავის აზრს. ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტილებებს არ იღებს. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურად ცდილობს, თავი აარიდოს შიდა პროცესებში ჩარევას. ბიძინა ივანიშვილი რომ ჩარეულიყო, უკვე ყველაფერი დალაგებული იქნებოდა.

მეორე არ მინახავს ისეთი დემოკრატი ადამიანი, როგორიც ივანიშვილია, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ათასგვარი მითი დადის და არაფრით არ ხდება ამ მითების განეიტრალება. ის ცდილობს, გზა მისცეს განვითარებასა და დამოუკიდებლობას.

– პარტიული სიები და სიტუაცია კვირიკაშვილმა უნდა დაალაგოს?

– თუ კვირიკაშვილი პარტიული ლიდერი გახდება, ამ საკითხში აქტიური მონაწილეობა მოუწევს, თუმცა ვშიშობ, რომ გავიზიარებ ანალიტიკოსთა მოსაზრებებს, თითქოს კვირიკაშვილი ნაკლებად არის პოლიტიკოსი, ნელ-ნელა უნდა აკრიფოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე გონიერი და ღირსშესანიშნავი პოლიტიკოსია.

– ანუ მაინც ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევაა საჭირო?

– იმედი მაქვს, მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც ამას გააკეთებს. ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ადამიანებმა თვითონ მართონ პროცესები და მისი ჩართვა საჭირო არ გახდეს.

თბილისში ფატუ ბენსუდას ოფისისა და ჰააგის სასამართლოს გამომძიებლები იმყოფებიან

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჰააგის სისხლის სამართლის პროკურორ ფატუ ბენსუდას ოფისი და სასამართლოს გამომძიებლები იმყოფებიან. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჰააგის სასამართლოს დელეგაციის ვიზიტის მიზანია საკუთარი მანდატის გაცნობა ქართული მხარისათვის და თანამშრომლობის სამომავლო ჩარჩოს განსაზღვრა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჰააგის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე ისეთ მნიშვნელოვანი თემები იქნა განხილული, როგორებიცაა მოწმეთა დაცვა და უსაფრთხოება, რომლებმაც საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე ჩვენებები უნდა მისცენ გამომძიებლებს იმ ეთნიკური წმენდის შესახებ, რომლებიც ჩატარდა აგვისტოს ომის დროს ქართველების წინააღმდეგ.

– ვისაუბრეთ ისეთ ტექნიკურ, მაგრამ მნიშვნელოვან თემებზეც, როგორიც არის, მაგალითად, ქართულიდან ინგლისურზე ამ ჩვენებების თარგმანი. ჩვენ მიერ განხილული საკითხების სპექტრი იყო ტექნიკური, მაგრამ მნიშვნელოვანი და მოწოდებული, რომ გამოძიება ეფექტიანად წარიმართოს.

საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი სამართალდამცველები და სხვა სამინისტროები ითანამშრომლებენ პროკურორის ოფისთან; რომ ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხები, მათ შორის, ეთნიკური წმენდა, კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, სამხედრო ტყვეების საქმეები, იქნეს ბოლომდე გამოძიებული, –- განაცხადა თეა წულუკიანმა.

დელეგაციის ხელმძღვანელის თქმით კი ჰააგის პროკურორის ოფისი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მსხვერპლთათვის მართლმსაჯულება აღსრულდეს და გამოძიება იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი.

სამინისტროს ინფორმაციით, ჰააგის სასამართლოს დელეგაციის წევრებმა გუშინვე შეხვედრები გამართეს თავდაცვის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების წარმომადგენლებთან, აგრეთვე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.

მედიანიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ძ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83



გია ვოლსკი: „სოსო ჯაჭვლიანის მიერ კანონპროექტის გამოთხოვა გუნდის გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა“

პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გია ვოლსკის განცხადებით, სოსო ჯაჭვლიანის მიერ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასთან დაკავშირებული კანონპროექტის გამოთხოვა გუნდის გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა. როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, თავდაპირველად ისიც მხარს უჭერდა კანონპროექტს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შესახებ“, თუმცა გუნდში დიდხანს იმსჯელეს იურისტებთან ერთად და ჩათვალეს, რომ აღნიშნული კანონპროექტი რთულ მდგომარეობას შექმნიდა განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც აგრესიულობით თავის გამოჩენის გაცილებით მაღალი შესაძლებლობაა.

მისივე თქმით, ასევე გართულდებოდა დადგენა, თუ სად გადის ზღვარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

გია ვოლსკი არ გამორიცხავს, „სამომავლოდ რაღაც უკეთესი გამოდნეს კანონპროექტში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან“, მაგრამ მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე მსგავსი კანონის მიღება დამაზიანებელი იქნება არა მარტო სამოქალაქო საზოგადოების, არამედ რელიგიური კონფესიებისთვისაც.

მედიანიუსი

აბანოთუბანი შეიძლება აბანოების გარეშე დარჩეს

ნათია ხურცილავა

თბილისი შესაძლოა გოგირდის აბანოების: „ჭრელი აბანოს“, „ნარიყალას“, „შაკოს“, „ჯორჯიან სპას“, „ბახმაროს“ გარეშე დარჩეს. ამის მიზეზი კი, როგორც აბანოების ხელმძღვანელები „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებენ, ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ გადაწყვეტილებაა.

მეწარმეების განცხადებით, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ შემოთავაზება ყოველგვარ გონივრულ ჩარჩოს სცდება. საუბარია 6 აბანოზე. როგორც მათი ხელმძღვანელები ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოლაპარაკების გზით ცადეს პრობლემის მოგვარება, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“ სასამართლოში შეიტანა სარჩელი.

ნოდარ ტოტოლაშვილი, შპს „ნარიყალას“ დირექტორი:

– 2007 წლიდან ვხელმძღვანელობ „ნარიყალას“. „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერთან“ სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე თითქმის 9 წლის განმავლობაში ვიხდიდით იმ ტარიფს, რომელზეც მოხდა შეთანხმება და ეს იყო გონივრული ტარიფი. ჩვენ კეთილსინდისიერად ვიხდით ამ გადასახადს დღემდე და არანაირი პრობლემა არ გვქონია, მაგრამ 2015 წლის თებერვალში, როგორც ცნობილია, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში“ ხელმძღვანელობა შეიცვალა, რასაც ახალი ტარიფის დადგენა მოჰყვა.

სემეკის დადგენილებით მაქსიმალური ტარიფია 90 თეთრი. სწორედ 90 თეთრი დაგვიწესეს საკანალიზაციო ქსელის მოხმარებაში. საუბარია თბილ წყალზე, რომელიც მიწიდან ამოდის და რომლის გადაკეტვაც, რომც არ იყო მომხმარებელი იმ წუთში, ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან აქ საუბარია

ბუნებრივ პროცესზე. წყლის გადაკეტვის შემთხვევაში ჭაბურღილს პრობლემა შეექმნება და შესაძლოა გოგირდის წყალი საერთოდ დავკარგოთ. დადგენილი ტარიფი, 90 თეთრი, აბსოლუტურად სცდება გონივრულ ზღვარს. ეს მაქსიმალური ზღვარია.

– დაახლოებით რამდენ ლარს შეადგენს, საბოლოო ჯამში, გადასახადი?

– საკანალიზაციო ქსელის მოხმარებაში, აქ საუბარია დაღვრილ წყალზე, დაახლოებით 9.500 ლარი უნდა გადავიხადოთ. ჩვენთვის ეს ძალიან მძიმე ტვირთი და არაგონივრული გადასახადია. ამ გადასახადის გადახდას ნამდვილად ვერ შევძლებთ.

თითქმის ერთი წელიწადია ვიბრძვით, რომ ჩვენი გასაჭირი ვინმემ გულთან ახლოს მიიტანოს. აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო უწყებას მივმართეთ, რომ რეაგირება ყოფილიყო. თვით პრემიერ-მინისტრსაც კი მივმართეთ, რადგან აქ საუბარია დედაქალაქის კულტურულ ცენტრზე. ძველი თბილისის ტურისტულ და კულტურულ ზონაზე. ეს აბანოებიც ერთგვარი სავიზიტო ბარათია ჩვენი დედაქალაქისთვის.

ჩვენ შეკითხვა გვიჩნდება, რატომ მაინცდამაინც 90 თეთრი? საუბარია სპეციფიკურ ბიზნესზე. ავზები გამდინარე წყლის ქვეშ უნდა იყოს. აქ წყლის ეკონომიაზე საუბარი, უბრალოდ, შეუძლებელია. მაშინ გოგირდის აბანოები დანიშნულებას დაკარგავს კიდეც, რადგანაც მისი დაკეტვა შეუძლებელია.

– გარემოს დაცვის სამინისტროსთან თუ გქონდათ კომუნიკაცია ჭაბურღილის დაკეტვასთან დაკავშირებით?

– რასაკვირველია, გარემოს დაცვის სამინისტროსთანაც გვქონდა კომუნიკაცია და მივიღეთ პასუხი, რომ იმ ჭაბურღილის დაკეტვა, საიდანაც ამოდის თბილი გოგირდის წყალი, მოგეხსენებათ, აბსოლუტურად ბუნებრივ წიაღზეა საუბარი, რომელიც მიწიდან ამოდის, აბსოლუტურად დაუშვებელია. ამან შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს. ამ წყალმა უნდა იდინოს, რადგან ეს არის ბუნებრივი პროცესი, რასაც ხელოვნურად ვერ შევაჩერებთ.

– ეს თუ აცნობეთ კომპანია „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერს“?

– რა თქმა უნდა, მაგრამ არანაირი რეაგირება ამას არ მოჰყოლია, მეტიც, სასამართლოში შეიტანეს სარჩელი და სასამართლო პროცესი 5 მაისს არის ჩანიშნული.

– სანამ ახალი ტარიფი განისაზღვრებოდა, რამდენს იხდიდით?

– მოგეხსენებათ, 6 აბანოზეა საუბარი. თითოეული აბანო 600-700 ლარს ვიხდიდით საკანალიზაციო მომსახურებისთვის. ცივი წყლის გადასახადი ცალკეა. ამ შემთხვევაში მრიცხველია დამონტაჟებული და იქ პრობლემა არ გვაქვს. აქ საუბარია ბუნებრივ ცხელ წყალზე, რომელიც მიწიდან ამოდის. ახალი ტარიფით კი ახლა გადასახადი 9.500 ლარი მომივიდა. ძველი ტარიფით ვიხდით გადასახადს, რადგან ამ ახალ ტარიფს, უბრალოდ, ვერ შევწვდებით და ვეღარ გადავიხდით. ეს გადასახადი ამ ერთი წლის განმავლობაში დაგროვდა და, ჯამში, 78.400 ლარი დამერიცხა, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავიხდი. შესაბამისად, ქონების დაყადაღება მოითხოვეს და ყველას დაგვიყადაღეს.

– რას ითხოვთ პირველ რიგში ხელისუფლებისგან?

– დადგენილი გადასახადის შეცვლას. ჩვენი არგუმენტები უკვე ჩამოყალიბებულია და სწორედ ამ არგუმენტების გათვალისწინებით ვაცხადებთ, რომ არაგონივრულ გადასახადს გვიწესებენ. თუ საუბარია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, თუ საუბარია ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე, მაშინ ხელის შეშლა კი არა, პირიქით უნდა მოხდეს, რადგან ის ზონა, სადაც ეს აბანოებია განთავსებული, სწორედ ტურისტული ზონაა. აბანოთუბანი ის ადგილია, რომელსაც ნებისმიერი ტურისტი სტუმრობს. თუ ასე გაგრძელდება და მიდგომები არ შეიცვლება, არ არის გამორიცხული, აბანოებს პროფილი შეუცვალოთ.

– ასე ფიქრობენ სხვა აბანოების მფლობელებიც?

– დიახ, თუ წინააღმდეგობა გაგრძელდა და ჩვენი პოზიცია არ გაითვალისწინეს, ყველა აბანოს მფლობელი ამ აზრზეა. რადგან ის შენობა-ნაგებობა ჩვენ გვეკუთვნის, დანიშნულებასაც შევუცვლით და აბანოს ნაცვლად სხვა ბიზნესს გავაკეთებთ.

აბანოთუბანი, ალბათ, აბანოების გარეშე დარჩება. ეს ძალიან ცუდი იქნება, რაც ნამდვილად არც ჩვენ გვინდა, მაგრამ, თუ „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერმა“ ჩვენი მდგომარეობა არ გაითვალისწინა, მაშინ, უბრალოდ, სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩება. აქ საუბარია სპეციფიკურ ბიზნესზე, ამიტომ ხელისუფლებას შეუძლია, ცვლილებები შეიტანოს და ამით ეს ბიზნესი გადაარჩინოს.

– ფუნქციონირებას თუ აგრძელებთ?

– დიახ, დღეის მდგომარეობით, ვმუშაობთ, მაგრამ როდემდე, არ ვიცით. წინ სასამართლო პროცესია, რომელიც 5 მაისს არის ჩანიშნული. ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. რამდენადაც ვიცით, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი“ დავალიანების გადახდას ითხოვს. მთლიანობაში საუბარია 78 ათას ლარზე და ა.შ. ამის გადახდა კი ჩვენთვის წარმოუდგენელია. ყველა აბანოს (6 აბანოზეა საუბარი) აქვს დავალიანება. ჩვენ ამ ვალების ჩამოწერას ვითხოვთ. მოხდეს გონივრული ტარიფის დადგენა და არა 15-20 ჯერ გაზრდა, ეს, უბრალოდ, მიუღებელი კი არ არის, ვერ გადავიხდით და ვიქნებით ამ მდგომარეობაში.

ჩვენ ვითხოვთ გონივრულ ტარიფზე შეჯერებას და ჩვეულებრივად გავაგრძელებთ ფუნქციონირებას, გადავიხდით გადასახადებს ისე, როგორც აქამდე ვიხდიდით. ერთადერთი, ვინც მოგვისმინა და ჩვენი გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანა ენერგოომბუდსმენი იყო.

გიორგი ჭირაქაძე: „ლარის დღევანდელ ნიშნულზე დატოვება სახიფათოა“

საქართველოს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქაძე მიიჩნევს, რომ ეროვნული ვალუტის კურსის დღევანდელ ნიშნულზე დატოვება, როდესაც 1 დოლარი 2.50 ლარი ღირს, ძალიან სახიფათოა. ამის შესახებ ჭირაქაძემ გუშინ, 16 თებერვალს, სასტუმრო „რედისონში“ განაცხადა, სადაც საქართველოს ბიზნესასოციაციის წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდნენ

როგორც ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის ერთ-ერთი თემა, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ლარის კურსიც იყო.

– მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გვესმის, რომ ეს პირდაპირ არ არის ხელისუფლებასთან და ეროვნულ ბანკთან დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ გვინდა, არგუმენტები დავინახოთ, – აღნიშნა ჭირაქაძემ.

ჭირაქაძე გამოეხმაურა ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის გუშინდელ განცხადებას, რომელიც ფიქრობს, რომ ლარი უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად გამყარდება. ჭირაქაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ არსებობს კონკრეტული არგუმენტები ნოდარ ხადურის მხრიდან ლარის გამყარებასთან დაკავშირებით, თუმცა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტმა არ იცის, რა არგუმენტები აქვს ფინანსთა მინისტრს.

მისივე თქმით, ბიზნესასოციაცია შეეცდება, ნოდარ ხადურთან კომუნიკაცია ჰქონდეს.

– თუ ლარი დოლართან გამყარდა, ეს იქნება ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკისთვის, მოსახლეობისთვის, ბიზნესისთვის და ეს გაცილებით მეტ აქტიურობას შეუწყობს ხელს, რომ ეკონომიკა განვითარდეს, – განაცხადა გიორგი ჭირაქაძემ.

ბიპიენი

კობა გვენეტაძე: „ლარიზაციის გაზრდის პროცესი ხანგრძლივი და კომპლექსურია“

ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ეროვნული ბანკის საბჭოში უნდა გაგრძელდეს მუშაობა, არის ეკონომიკის დედოლარიზაცია ანუ ლარიზაციის გაზრდის პროცესი. ამის შესახებ გუშინ, 16 თებერვალს, პარლამენტში დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად პრეზიდენტის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა კობა გვენეტაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, ლარიზაციის გაზრდა ხანგრძლივი, კომპლექსური პროცესია, რაც ბევრ მიმართულებას მოიცავს და იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, შესაბამისი წინაპირობები უნდა იქნა შექმნილი.

– რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკა, სადაც არის მცოცავი გაცვლითი კურსი. იგი არ არის და არ შეიძლება იყოს დაცული იმ გლობალური ეკონომიკური მოვლენებისაგან, რომლებიც მის გარშემო ხდება. აქედან გამომდინარე, მცოცავი კურსი არის ის მექანიზმი, რომლითაც შეიძლება მოხდეს ამ ნეგატიური შოკების შთანთქმა, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

მისი აზრით, როდესაც მოხდება ლარიზაციის ამაღლება და დედოლარიზაციის შემცირება, ეს მტკივნეული საკითხები, ეს გადაცემა ქვეყნის ეკონომიკაზე შედარებით უფრო უმტკივნეულოდ გადასატანი იქნება.

– მე, სხვათა შორის, გამიგია ამ მოკლე პერიოდში, რაც აქ ვარ, რომ ლარიზაციის გაზრდა ძალიან მალე შეიძლება. ვფიქრობ, ეს არ არის ასე. ეს არის ხანგრძლივი, კომპლექსური პროცესი, რაც საკმაოდ ბევრ მიმართულებას მოიცავს და იმისთვის, რომ ეს განხორციელდეს, ამის წინაპირობები უნდა იყოს შექმნილი, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ბიპიენი

რომის პაპის საქართველოში ვიზიტი გადაწყვეტილი არ არის

რომის პაპ ფრანცისკ პირველის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს განცხადებით, მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

– მე ამის შესახებ ინფორმაცია მოვისმინე, მაგრამ ოფიციალურად არავითარი ცნობა არ მოსულა აქამდე. დადებითი იქნება თუ უარყოფითი მოლაპარაკების პასუხი, ჯერ არ არის ცნობილი, – აცხადებს ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

ფრანცისკ პირველი რომის 266-ე პაპია 2013 წლის 13 მარტიდან. ის კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სუვერენული სახელმწიფოს მეთაურს წარმოადგენს. სახელი ფრანცისკე მან ესპანელი მისიონერის, „იესოს საზოგადოების“ თანადამფუძნებელ ფრანსისკო ხავიერისგან აიღო.

ნიუსპრესი

პრემიერი „მაესტროზე“: „მეგობრობა და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები გამიჯნული უნდა იყოს“

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მეგობრობა და სახელმწიფო გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან გამიჯნული უნდა იყოს. აღნიშნულით მთავრობის მეთაური მას და ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელ გიორგი გაჩეჩილაძეს შორის მეგობრობის საკითხს გამოეხმაურა.

– მე ვფიქრობ, რომ მეგობრობა და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები უნდა იყოს გამიჯნული ამ ქვეყანაში. მე ამის მომხრე ვარ და ამ საკითხზე არ ვფიქრობ, რომ კიდევ დამატებითი განმარტებები უნდა ვაკეთო, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ნიუსპრესი

საქმე № 010210615001199846
№2/4307-15

2271945911837
www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ

08.01.2016 წელი **ქ. ბათუმი**

ბათუმის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე თამარ ბურჯანაძე

განმცხადებელი – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო;

მოთხოვნის არსი: ქონების უპატრონოდ ცნობა;

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 337-341-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა) გაზეთში „ახალი თაობა“ შემდეგი სახით:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე თამარ ბურჯანაძის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე (№2/4307-15) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

3. უპატრონოდ საცნობი ნივთებია თევზსაჭერი იარაღი:

1. 26.03.2015 წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 2მ. თვლისზომა 140/145 მმ.

2.02.04.2015 წ. განმუხურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 400მ. თვლისზომა 160X160 მმ.

3. 14.04.2015 წ. ბობოყვათის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 1,80მ. თვლისზომა 180 მმ.

4. 16.04.2015 წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 1,50მ. თვლისზომა 140/160/165/170 მმ.

5. 16.04.2015 წ. მახინჯაურის საზღვაო რაიონში, ზღვიდ ანამოღებული იქნა სახლართ იბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 150სმ. თვლისზომა 18 მმ.

6. 17.04.2015 წ. განმუხურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდ ანამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 240 მ. თვლისზომა 140X140 მმ. 2. 230 მ. თვლისზომა 160X160 მმ.

7. 17.04.2015 წ. ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 380მ. თვლისზომა 120X120 მმ.

8. 18.04.2015 წ. ნატანების საზღვაო რაიონში ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 140 სმ. თვლისზომა 180 მმ.

9. 19.04.2015 წ. ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 250 მ. თვლისზომა 100X100 მმ.

10. 19.04.2015 წ. ანაკლიის მიმდებარეტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართი ბადე, პარამეტრებით: 150 მ. თვლისზომა 100X100 მმ.

11. 26.04.2015 წ. ქობულეთის საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 160 სმ. თვლისზომა 140X160 მმ.

12. 27.04.2015 წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართი ბადე, პარამეტრებით: 1,80 მ. თვლისზომა 175 მმ.

13. 28.04.2015 წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30 მ. 28 მმ. 2. 30 მ. 28X28 მმ. 3. 30 მ. 20X20 მმ. 4. 30 მ. 28X28 მმ.

14. 28.04.2015 წ. ქობულეთის საზღვაორაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 160 მ. თვლის ზომა 100/105/140 მმ.

15. 29.04.2015 წ. შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 6 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50 მ. 20 მმ. 2. 50 მ. 20 მმ. 3. 50 მ.20X20 მმ. 4. 50 მ. 20X20 მმ 5.50 მ. 20X20 მმ 6. 50 მ.20X20 მმ.

16. 01.05.2015 წ. მალთაყვას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50 მ. თვლისზომა 20X20 მმ. 2. 50 მ. თვლისზომა 20X20 მმ.

17. 02.05.2015 წ. მალთაყვას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 150მ. თვლის ზომა 20X20 მმ. 2. 150 მ. თვლის ზომა 20X20 მმ.

18. 03.05.2015 წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 3 მ. თვლის ზომა 170X180 მმ.

19. 06.05.2015 წ. მალთაყვას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართიბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100 მ. თვლისზომა 24X24 მმ. 2. 50 მ. თვლისზომა 24X24 მმ.

20. 06.05.2015 წ. გრიგოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30 მ. თვლისზომა 20X20 მმ. 2. 30 მ. თვლის ზომა 20X20 მმ.

21. 07.05.2015 წ. ნაბადას მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. რიონის ზღვის შესართავთან, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 20 მ. თვლის ზომა 28X28 მმ. 2. 20 მ. თვლისზომა 28X28 მმ.

22.07.05.2015 წ. გრიგოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 80 მ. თვლის ზომა 28X28 მმ.

23. 07.05.2015 წ. გრიგოლეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50 მ. თვლის ზომა 28X28 მმ. 2. 30 მ. თვლის ზომა 28X28 მმ.

24. 08.05.2015 წ. ანაკლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 200 მ. თვლისზომა 150X150 მმ.

25. 10.05.2015 წ. შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50 მ. თვლის ზომა 24X24 მმ. 2. 30 მ. თვლის ზომა 24X24მმ.

26. 10.05.2015 წ. ქობულეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიმაღლე 1,60მ. თვლისზომა 1,65მმ.

27. 13.05.2015 წ. ურეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით:35მ. თვლისზომა 18X18მმ.

28. 14.05.2015 წ. სუფსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით:50მ. თვლისზომა 24X24მმ.

29. 16.05.2015 წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 20X20მმ. 2. 30მ. თვლისზომა 20X20მმ.

30. 16.05.2015 წ. ყულევის მიმდებარე ტრიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ. 4. 40მ. თვლის ზომა 30X30მმ.

31. 16.05.2015 წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 550მ. თვლის ზომა 140X140მმ.

32. 17.05.2015 წ. გრიგოლეთის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 20მ. თვლის ზომა 24მმ. 2. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ. 4. 20მ. თვლის ზომა 24X24მმ.

33. 18.05.2015 წ.შუქურას საზღვაო რაიონში, ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 20მ. თვლისზომა 30X30მმ.

34. 18.05.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 50მ. თვლისზომა 30X30მმ.

35. 20.05.2015 წ. შეკვეთილის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 26X26მმ. 3. 400მ. თვლის ზომა 26X26მმ.

36. 21.05.2015 წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 30მ. თვლის ზომა 180X180მმ.

37. 22.05.2015 წ. შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართიბადე 2 ერთეულისოდენობით, პარამეტრებით: 1. 25მ. თვლიხზომა 26X26მმ. 2. 15მ. თვლიხზომა 26X26მმ.

38. 28.05.2015 წ. ფოთის საზღვაო რაიონში, ნაბადაში ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 30მ. თვლიხზომა 85X85მმ.

39. 01.06.2015 წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 60მ. თვლისზომა 100X100მმ.

40. 01.06.2015 წ. განმუხურის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 60მ. თვლისზომა 24X24მმ.

41. 02.06.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 30მ. თვლისზომა 20X20მმ.

42. 02.06.2015 წ. ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნასახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 60მ. თვლისზომა 24X24მმ. 2. 30მ. თვლისზომა 28X28მმ. 3. 30მ. თვლისზომა 28X28მმ.

43. 02.06.2015 წ. შუქურას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 8 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 100მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 5. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ. 6. 30მ. თვლის ზომა 26X26მმ 7. 30მ.თვლის ზომა 26X26მმ. 8. 30მ.თვლის ზომა 26X26მმ.

44. 03.06.2015 წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგრძე 6 მ. სიმაღლე 1 მ. თვლისზომა 20მმ.

45. 03.06.2015 წ. ბათუმის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: სიგრძე 5 მ. სიმაღლე 1 მ. თვლისზომა 20მმ.

46. 03.06.2015 წ შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 35X35მმ. 2. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 3. 100მ. თვლის ზომა 24X24მ. 4. 100მ. თვლის ზომა 24X24მ.

47. 04.06.2015 წ. შეკვეთილის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 45მ. თვლის ზომა 28X28მმ.

48. 04.06.2015 წ ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. 70მ. თვლის ზომა 35X35მმ.

49. 04.06.2015 წ. შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართიბადე პარამეტრებით: 70მ. თვლის ზომა 26X26მმ.

50. 08.06.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2. 70მ. თვლის ზომა 24X24მმ.

51. 13.06.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით პარამეტრებით: 1. 50მ. თვლისზომა 24X24მმ. 2. 50მ. თვლისზომა 26X26მმ.

52. 17.06.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 6 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 40მ. თვლისზომა 24X24მმ. 2. 60მ. თვლისზომა 24X24მმ. 3. 50მ. თვლისზომა 20X20მმ. 4. 40მ. თვლისზომა 20X20მმ. 5. 50მ. თვლისზომა 30X30მმ. 6.60მ. თვლისზოამა 30X30მმ.

53. 19.06.2015 წ. ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებულიიქნა სახლართი ბადე პარამეტრებით: 100მ. თვლისზომა 30X30მმ.

54. 20.06.2015 წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 18 ერთეულის ოდენობით პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 24X24მმ. 2. 35მ. თვლის ზომა 24X24მმ. 3. 10მ. თვლის ზომა 24X24მმ. 4. 25მ. თვლის ზომა 26X26მმ. 5. 25მ. თვლის ზომა 24X24მმ. 6.25მ. თვლის ზომა 28X28მმ.7. 25მ. თვლის ზომა 26X26მმ. 8. 25მ. თვლისზომა 24X24მმ. 9. 25მ. თვლის ზომა 24X24მმ. 10. 25მ. თვლის ზომა 24X24მმ 11. 25მ. თვლის ზომა 24X24მმ. 12. 25მ. თვლისზომა 24X24მმ 13. 25მ. თვლისზომა 24X24მმ. 14. 25მ. თვლის ზომა 26X26მმ. 15. 25მ. თვლის ზომა 24X24მმ. 16. 25მ.თვლის ზომა 26X26მმ. 17. 25მ. თვლის ზომა 26X26მმ. 18. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ.

55. 20.06.2015 წ ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 4 ერთეულის ოდენობით პარამეტრებით: 1. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2.50მ. თვლის ზომა 28X28მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 30X30მმ 4. 60მ. თვლის ზომა 30X30მმ;

56. 21.06.2015 წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 50მ. თვლის ზომა 30X30მმ.

57. 23.06.2015 წ. ნაბადას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 3 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 100მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2.100მ. თვლის ზომა 28X28მმ 3. 60მ. თვლის ზომა 26X26მმ

58. 23.06.2015 წ. ყულევის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 2 ერთეულის ოდენობით პარამეტრებით: 1. 150მ. თვლის ზომა 45X45მმ. 2.100მ. თვლის ზომა 24X24მმ.

59.07.07.2015 წ შუქურას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 13 ერთეულის ოდენობით პარამეტრებით: 1. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 2.80მ. თვლის ზომა 40X40მმ. 3. 50მ. თვლის ზომა 35X35მმ. 4. 100მ. თვლის ზომა 40X40მმ. 5. 100მ. თვლის ზომა 50X50მმ. 6. 100მ. თვლის ზომა 35X35მმ. 7. 40მ. თვლის ზომა 40X40მმ. 8. 60მ. თვლის ზომა 35X35მ. 9. 35მ. თვლის ზომა 28X28მ.10. 35მ. თვლის ზომა 30X30მ. 11. 100მ. თვლის ზომა 40X40მმ. 12. 65მ. თვლის ზომა 35X35მ.13. 65მ. თვლის ზომა 40X40მ.

60. 08.07.2015 წ. ანაკლიის საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე 7 ერთეულის ოდენობით, პარამეტრებით: 1. 25 მ. თვლის ზომა 28X28მმ. 2.25მ.თვლის ზომა 28X28მმ. 3. 25მ. თვლის ზომა 28X28მმ. 4. 30მ. თვლის ზომა 30X30მმ. 5. 80მ. თვლის ზომა 40X40მმ. 6. 80მ. თვლის ზომა 30X30მმ. 7. 80მ. თვლის ზომა 30X30მმ.

61. 23.07.2015 წ. მალთაყვას საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 60მ.თვლისზომა 22X22მმ.

62. 30.07.2015 წ. ნატანების საზღვაო რაიონში, ზღვიდან ამოღებული იქნა სახლართი ბადე, პარამეტრებით: 70მ. თვლისზომა 35X35მმ.

4. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ თუ მათ გააჩნიათ პრეტენზია ზემოაღნიშნული ნაპოვნი „საქონლის უპატრონოდ ცნობა“-ზე, რომლის უპატრონოდ გამოცხადებასაც მოითხოვს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს, შეუძლიათ თავიანთი უფლებების შესახებ განაცხადონ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.30) 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა;

5. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე სასამართლოში არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: თამარ ბურჯანაძე

მერკელი სირიის არასაფრენ ზონად გამოცხადებას მოითხოვს

სირიაში გააფთრებული ბრძოლები გრძელდება. რუსული ავიაციის მხარდაჭერით ასადის არმია ალეპოზე შეტევებს განაგრძობს. რუსული თვითმფრინავების დარტყმის შედეგად განადგურებულია საავადმყოფო, რომელსაც ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“ კურირებდა.

– დარტყმა რუსულმა თვითმფრინავებმა განახორციელეს. სათანადო სანქცია კი ასადმა გასცა, – ასეთი განცხადება გაავრცელა ორგანიზაციამ „ექიმები საზღვრების გარეშე“.

საავადმყოფოს დაბომბვა მთელმა მსოფლიომ დაგმო. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ საავადმყოფოების დაბომბვა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში არ ჯდება. გაეროს წარმომადგენელმა პან გი მუნმა კი განაცხადა:

– საავადმყოფოების დაბომბვა ვანდალური აქტია! დაბომბვები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს!

ყველაზე რადიკალური გერმანის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადება იყო. მან სირიის არასაფრენ ზონად გამოცხადება მოითხოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა თვითმფრინავი, მათ შორის რუსულიც, რომელიც სირიის ტერიტორიაზე შეიჭრება, უნდა ჩამოგდებულ იქნას.

– სანამ სირიას არასაფრენ ზონად არ გამოაცხადებენ, მშვიდობა არ დამყარდება, – აცხადებს მერკელი.

პოროშენკო: „რუსეთი სრულ იზოლაციაშია“

კიევსა და დონბასში მებრძოლი ჯარისკაცების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მეომრებს სიტყვით თავად პრეზიდენტმა პოროშენკომ მიმართა.

– დღეს რუსეთი სრულ იზოლაციაშია! მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყანა მოსკოვის წინააღმდეგ სანქციების გაგრძელებას მხარს უჭერს, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტი რუსული სატვირთო მანქანების გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზეც შეჩერდა. მან თქვა, რომ რუსეთმა უკრაინული მანქანების შევიწროება უფრო ადრე დაიწყო.

– ჩვენ ვცდილობდით თავი შეგვეკავებინა, – თქვა პოროშენკომ, – მაგრამ ამან რუსები კიდევ უფრო გაათამამა.

უკრაინის პრეზიდენტმა მოიყვანა კონკრეტული ფაქტები, რაც რუსეთის ტერიტორიაზე უკრაინული სატვირთო მანქანების გაჩერებას, მძღოლების ცემასა და მათთვის ტვირთების ჩამორთმევაზე მიუთითებს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მთავრობამ ნაგვიანევად, მაგრამ მაინც მიიღო დადგენილება უკრაინის ტერიტორიაზე რუსული სატვირთო მანქანების მოძრაობის შეჩერების შესახებ.

პოროშენკომ გამოთქვა იმედი, რომ როგორც კი რუსეთში უკრაინელ მძღოლებზე თავდასხმები შეწყდება, რუსული სატვირთო მანქანების მოძრაობაც განახლდება.

დავუთოღლუ: „ყირიმი უკრაინას ეკუთვნის“

თურქეთის პრემიერი დავუთოღლუ კიევში ჩავიდა. აქ ის შეხვდა და ესაუბრა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს, პრემიერ არსენი იაცენიუკს.

შემდგომში პრესკონფერენციაზე დავუთოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი ყირიმს უკრაინის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს და მზადაა, უკრაინას ნახევარკუნძულის დაბრუნებაში დახმარება აღმოუჩინოს.

დავუთოღლუსა და პრემიერ იაცენიუკს შორის მოლაპარაკებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება თურქეთ-უკრაინას შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის ამოქმედების შესახებ. დავუთოღლუმ აგრეთვე გამოთქვა მზადყოფნა დეხმაროს უკრაინას მისი არმიის შემდგომ გაძლიერებაში.

პრესკონფერენციაზე თურქეთის პრემიერი სირიაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. დავუთოღლუმ რუსეთს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში დასდო ბრალი.

– სანამ ჩვენ აქ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, რუსულმა ავიაციამ სირიის ტერიტორიაზე სკოლა დაბომბა, დაიღუპნენ ბავშვები! – თქვა დავუთოღლუმ.

ბაჰრეინში ამერიკელი ჟურნალისტები დააკავეს

ბაჰრეინში ოთხი ამერიკელი ჟურნალისტი დააკავეს. აქედან ერთი ქალია, სამი – მამაკაცი. მათ ბრალს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში სდებენ.

– ისინი ქვეყანაში უკანონოდ შემოვიდნენ და მოსახლეობას ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებდნენ, – ნათქვამია ბაჰრეინის პოლიციის განცხადებაში.

„ამერიკის ხმის“ ცნობით, ხსენებული ჟურნალისტები აგროვებდნენ მასალებს ბაჰრეინში მომხდარი ანტისახელისუფლებო გამოსვლების თაობაზე.

აშშ-ს საელჩო ბაჰრეინში ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა დაპატიმრებული ჟურნალისტები დაიხსნას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

უფასო სვირინგი ტრამპისთვის

ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ სიბურკში მდებარე ტატუ-სალონის მფლობელმა ბობ ჰოლმსმა თავის კლიენტებს შესთავაზა აქცია, რომლის ფარგლებში მათ შეეძლებათ უფასოდ ამოისვირინგონ სხეულზე დონალდ ტრამპის გამოსახულება.

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსახულებიანი სვირინგი უკვე 40-ზე მეტმა ადამიანმა გაიკეთა. ჰოლმსის თქმით, ასევე პოპულარობით სარგებლობს ტრამპის წინასაარჩევნო სლოგანი: „დავუბრუნოთ ამერიკას ადრინდელი დიდება“.

ტრამპის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, 24 წლის ახალგაზრდამ, ფეხზე ბიზნესმენის გამოსახულება ამოისვირინგა, ამერიკის დროშის ფონზე.

– თუ ტრამპი პრეზიდენტი გახდება, ეს დაუჯერებელი იქნება, პრინციპში, ჩემთვის შედეგებს მნიშვნელობა არ აქვს, მე ხომ ხმის მიცემაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, ვინაიდან ციხეში ვიჯექი, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ისტორიულად უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, – განაცხადა ტრამპის თაყვანისმცემელმა.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ბრიტანელმა გიგანტური კუბიკ-რუბიკი დაამზადა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ტონი ფიშერმა დაამზადა კუბიკ-რუბიკი, რომელიც 100 კილოგრამს იწონის, ხოლო მისი ყოველი კუბიკის სიგრძე 1,56 მეტრს უდრის. ბრიტანელის თქმით, სავარაუდოდ, მის მიერ დამზადებული კუბიკ-რუბიკი მსოფლიოში ყველაზე დიდია.

ბრიტანელს, რომელიც დიდი ხანია გატაცებულია სხვადასხვა ინტელექტუალური თამაშებითა და თავსატეხებით, ყოველთვის გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა სურდა. მას იმედი ჰქონდა, რომ თავის ამ ოცნებას გიგანტური კუბიკ-რუბიკის დამზადებით აისრულებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

მკურნალობა

● ანტითამბაქო – მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო შედეგიანი პარასამკურნალო საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ თამბაქოზე თავის დანებებაში – ფიტოკომპანია „ედელვაისისგან“. ფასი 60-65 ლარი. შეგვიძლია ადგილზე მოწოდებაც და რეგიონებში გაგზავნაც მოთხოვნის შემთხვევაში. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● 50 წლის პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ –ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● დაქვეითებული სმენის – ნევრიტის,ოტიტის, ოსტეოქონდროზის, კიდურების, კუნთების, სახსრების დაავადებების, რადიკულიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, მასტიტის, საკვერცხეების ანთების, წითელი ქარის განკურნება უნიკალური ენერ-გეტიკული მეთოდით, ასაკის მიუხედავად. ეს ნამდვილია პრაქტიკულად გამოცდილი. მის.: აღმაშენებლის 93. პოლიკლინიკა. ტელ: 599-97-85-46 ლევანი - სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ფეხბურთის ფედერაცია 5-წლიან პროგრამას საზოგადოებას გააცნობს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა. განსაკუთრებით საინტერესო თემა ნაკრების მწვრთნელის საკითხი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ძვრა არ ისმის. მეტიც, გავრცელებული ხმებით, ნაკრების სათავეში ფოლკერ ფინკეს დანიშვნა საერთოდ უარყოფილ იქნა.

სამაგიეროდ, აღმასკომმა საქართველოს 2015-16 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი, პირველი ლიგების და დუბლების ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი დაამტკიცა.

ამასთანავე, აღმასკომმა ცვლილება შეიტანა დებულებაში და გადაწყვიტა, რომ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალი, 26 მაისის ნაცვლად, 18 მაისს ჩატარდება.

გარდა ამისა, ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების შემცირება ამ ეტაპზე არ იგეგმება. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული ჩემპიონატი მიმდინარეობს, ფედერაციას დებულების შეცვლა მართებულად არ მიაჩნია.

აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაზე იმსჯელეს. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა აღმასკომის წევრებს პროექტის დეტალები გააცნო. ფართო საზოგადოებისთვის კი ხუთწლიანი პროგრამის პრეზენტაცია 18 თებერვალს, 18 საათზე სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში იგეგმება.

რეალს მორატას დაბრუნება უნდა



იტალიური მედიის ცნობით, მადრიდის რეალი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ალვარო მორატას დაბრუნების საკითხს.

მორატა იჯარის წესით არის ტურინის იუვენტუსში. იტალიელი ჟურნალისტების ინფორმაციით, მადრიდულმა კლუბმა საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და ალვაროს გამოსყიდვას აპირებს. პერესისა და ზიდანის ერთ-ერთმა შეხვედრამ სატრანსფერო გეგმები შეათანხმა და მასში მორატას გარკვეული როლი უჭირავს.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტურინულ კლუბს პრაქტიკულად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ხელშეკრულების მოცემული პუნქტი და მომავალი სატრანსფერო ფანჯარა სამეფო კლუბს სრულ უპირატესობას აძლევს. ერთადერთი, რისი იმედიც აპენინელებს შეიძლება ჰქონდეთ, არის თავად ფეხბურთელის ნება-სურვილი, რომელიც, თავის მხრივ, ვერაფრით ახერხებს თავის გამოჩენას. წლევანდელი მორატა შარშანდელის აჩრდილია და რითია ეს გამოწვეული, რთული სათქმელია.

მადრიდელებს კი აქვთ გამოსყიდვა გადაწყვეტილი, მაგრამ, მეორე მხარეა, თუ რისთვის ესაჭიროებათ. ესპანელი მიმომხილველების მტკიცებით, პერესს ზედმეტი თანხის გამომუშავება აქვს გადაწყვეტილი. მორატასთვის უკვე ამ ეტაპზე ინგლისური კლუბები იბრძვიან, რომლებიც 40 მილიონს და მეტს იხდიან მის სანაცვლოდ.

შედეგები

15 თებერვალი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონშიპი
ლიდსი-მიდლსბრო 0:0
გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა
ნიურნბერგი-ბოხუმი 1:1
იტალია. სერია ბ
ბრეშა-ასკოლი 2:2
საფრანგეთი. მე-2 ლიგა
ლანსი-ვალანსიენი 0:1
პორტუგალია. პრიმეირა ლიგა
რიუ ავე-ფერეირა 1:1
შოტლანდია. პრემიერშიპი
ინვერნესი-აბერდინი 3:1
საბერძნეთი. სუპერლიგა
ქანთი-ასტერასი 0:0
თურქეთი. სუპერლიგა
ტრაბზონი-ქაისერი 2:1
პოლონეთი. ექსტრაკლასი
პოგონი-კორონა 3:2

იურაი იარაბეკი: „მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში უნდა მოვხვდეთ“

თბილისის დინამომ თურქული შეკრება დაასრულა. ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ბელეკში 30 იანვრიდან იმყოფებოდა და ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის ემზადებოდა. შეკრებაზე თბილისელებმა 5 სპარინგ-მატჩიც გამართეს და აქედან ოთხი გამარჯვებით დაასრულეს – სპლიტთან (1:0), ბატესთან (2:0), ვოივოდინასთან (2;1), სლოვანთან (5:2), ხოლო ბოლო მატჩში ფრედ, 3:3 ითამაშეს კარპატისთან.

შეკრებაზე და დინამოს მომავალზე გუნდის სლოვაკი თავკაცი იურაი იარაბეკი საუბრობს.

– გუნდში ახალი დანიშნული ხართ, როგორია პირველი შთაბეჭდილება?

– სულ ორიოდე კვირაა, რაც ერთად ვართ შეკრებაზე. პირველი შთაბეჭდილება, რაც შემიძლია ვთქვა დინამოზე, არის კარგი და ტექნიკური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბი. გუნდში მაღალ დონეზეა დისციპლინა. მე აქამდეც აღვნიშნე, რომ დინამოს დიდი პოტენციალი აქვს.

– რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შენიშნეთ ამ დროში?

– დინამო მაღალტექნიკური გუნდია. არც ტაქტიკური თამაშის მხრივ შემხვედრია პრობლემა. 4-4-2 იქნება თუ 4-4-1-1, ფეხბურთელებს კარგად აქვთ ათვისებული ეს წყობა და ნათლად ესმით ამოცანა. ვითხოვ უფრო სწრაფ თამაშს და პრესინგს. ახალგაზრდები და გამოცდილი ფეხბურთელები კარგად ავსებენ ერთმანეთს. ყველა პოზიციაზე მაღალი კონკურენციაა. რამდენიმე სპარინგ შეხვედრის რიგ ეპიზოდებში და გარკვეულ ფაზებში ფეხბურთელებმა დაკარგეს კონცენტრაცია. საჭიროა პირველიდან ბოლო წუთამდე მთლიანი მობილიზება და ამ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ.

– სპარინგებსა და მეტოქეებზე რას გვეტყვით?

– ხუთი საკმაოდ საინტერესო თამაში ჩავატარეთ. სპლიტი, ბატე, ვოივოდინა, სლოვანი, კარპატი – ყველა მეტოქე ევროპული, საკმაოდ მაღალი დონის გუნდია და მათ დახასიათებას ცალკე აღარ შევუდგები. შედეგის გარდა, ჩვენ საკმაოდ კარგი თამაში ვაჩვენეთ. ვითამაშეთ კომბინაციური ფეხბურთი, დაცვისა და თავდასხმის ხაზის მონაცვლეობის საკმაოდ კარგი რიტმით და ამაზე კიდევ ვაგრძელებთ მუშაობას. ასევე ყველა ფეხბურთელი ვნახე საქმეში. კონკურენცია მაღალია და ეს ავტომატურად უზრუნველყოფს მათ პროგრესს.

– გუნდის გაძლიერება ხომ არ იგეგმება?

– თავიდანვე ვთქვი, რომ თუ გავძლიერდებით ლეგიონერით, ის აუცილებლად უნდა სჯობდეს ადგილობრივ მოთამაშეს. ჩვენ საკმაოდ ხარისხიანი ქართველი ფეხბურთელები გვყავს და თუ ლეგიონერს მოვიყვანთ, იგი აუცილებლად მაღალი დონის უნდა იყოს. დრო გვიჩვენებს, რომელი პოზიცია უფრო მეტად საჭიროებს გაძლიერებას.

– დინამოს მიზნები რა არის?

– მიზანი საქართველოს ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა. აი შემდეგ კი უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში მოვხვდეთ. ეს არის ჩვენი უმთავრესი მიზანი და ვთვლი, რომ ჩემს გუნდს აქვს ამის პოტენციალი.

სამეფო კლუბი მარადიულ ქალაქში ჩადის

დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის ორი შეხვედრა.

რომა – ლეჩეი

ზინედინ ზიდანის პირველი გამოცდა მწვრთნელის რანგში ჩემპიონთა ლიგაზე. თავის მხრივ, რომამაც ახლახან შეიცვალა მწვრთნელი და მათ თავკაცად ლუჩანო სპალეტი დაინიშნა.

აქამდე ერთმანეთს 8-ჯერ შეხვდნენ, რომამ 3 მატჩი მოიგო, რეალმა – 4. რომაელები საშინაო მატჩებით ვერ დაიკვეხნიან – 4 შეხვედრიდან 1 მოგება და 3 მარცხი აქვთ. პირველად 2001-02 წლის გათამაშებაში დაეჯახნენ. ახლანდელი შემადგენლობიდან მაშინ პირველად ითამაშა ფრანჩესკო ტოტიმ, რომელმაც 11 მეტრიდან გაიტანა კიდეც, მაგრამ რომამ ის თამაში 1:2 დათმო. ტოტიმ განმეორებით მატჩშიც გაიტანა სანტიაგო ბერნაბეუზე – ეს შეხვედრა 1:1 დასრულდა.

ზიდანსაც აქვს ნათამაშები რომასთან ჩემპიონთა ლიგაზე, როდესაც რეალმა სტუმრად 3:0 მოუგო იტალიელებს. საპასუხო შეხვედრა რომამ ტოტის გოლით მოიგო. როგორც ხედავთ, რეალი რომში იგებს, შინაურ კედლებში ვერა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე მაინც გადის.

რომასთვის დადებითი შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ რეალს ბოლო 8 მატჩია იტალიურ მიწაზე არ მოუგია.

დღეს ტოტის თამაში საეჭვოა, ისევე, როგორც დე როსის, სალაჰისა და ტოროსიდისის. ნამდვილად ვერ ითამაშებს კაპრადოსი.

რეალს ბეილი და პეპე დააკლდება, საეჭვოა მარსელოს თამაში.

სავარაუდო შემადგენლობები:

რეალი: ნავასი, დანილო, ვარანი, რამოსი, კარვახალი, კროოსი, მოდრიჩი, ხამეს როდრიგესი, ისკო, რონალდუ, ბენზემა

რომა: შჩესნი, დინი, რუდიგერი, მანოლასი, ფლორენცი, ვენკერი, ნაინგოლანი, პეროტი, ელ შაარავი, პიანიჩი, ჯეკო

გენტი – ვოლფსბურგი

ეს გუნდები არა მარტო ჩემპიონთა ლიგისთვის, არამედ ევროტურნირებისთვისაც კი გამოუცდელები არიან. ერთმანეთს არ შეხვედრიან, გენტმა სულ 2 გერმანული გუნდი მოსინჯა ევროპის თასზე და ორივეჯერ შორეულ წარსულში. ისიც უნდა ითქვას, რომ ბელგიელებმა ვერდერიც და აინტრახტიც დაიფრინეს. მართალია, შინ ვერ მოიგეს, მაგრამ სტუმრად მოიპოვეს გამარჯვებები.

ვოლფსბურგი კი არამარტო გენტს, საერთოდ ბელგიურ კლუბს არ შეხვედრია ევროტურნირებზე.

ერთმანეთს თითო დანაკლისით ხვდებიან: გენტს მატონი დააკლდება, ვოლფსბურგს – დოსტი. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას დეიაგერეს, ნილსენის, მილიჩევიჩის (გენტი), არნოლდის, გილიავოგისა და შურლეს (ვოლფსბურგი) თამაში.

სავარაუდო შემადგენლობები:

გენტი: ცელსი, ნილსენი, ასარე, მიტროვიჩი, რაფინია, ფოკეტი, კუმსი, მეტო, საიეფი, დეპუა, საიმონი

ვოლფსბურგი: ბენალიო, ნალდო, როდრიგესი, დანტე, იუნგი, ვიერინია, კალიგიური, დრექსლერი, ტრეში, ბენდტნერი, კრუზე

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 2. კინოთეატრი თბილისში; 3. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 4. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისათვის; 5. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 8. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 9. ქართული მალამო; 12. ნიუ იორკში, თავისუფლების ქანდაკების ავტორი, ფრანგი მოქანდაკე; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 16. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 17. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 19. მსოფლიოსი ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური ფირმა; 20. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი.

თარაზულად: 6. მომავლის რწმენა; 7. პურეული მცენარე; 8. ქართველი კინორეჟისორი; 10. ქართული ძილისპირული; 11. ჰოლივუდელი კინოკომიკოსი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 15. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 18. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ცეცხლსასროლი იარაღი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



გამოვიდა ახალი წიგნი GEORGIAN MYTH-TALES

დანიელ არა ქართველი ჟურნალისტის ვალერი ჭკადუას ფსევდონიმია. ვ.ჭკადუამ დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარ მთარგმნელობით კოლეგიაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საინფორმაციო განყოფილების გამგედ, საგამომცემლო სახლ „პალიტრის“ ინგლისურენოვანი ყოველკვირეულის Georgia Jornal-ის მთავარ რედაქტორად.

1990 წლიდან დანიელ არა აქტიურად თარმნის და აქვეყნებს შერვუდ ანდერსონის, უილიამ ფოლკნერის, ჯეიმს თერბერისა და სხვა ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს.

წინამდებარე ინგლისურენოვანი მოთხრობების კრებულის „ქართული მითიური ამბების“ წინასიტყვაობაში დანიელ არა წერს: „ყოველ ერს გააჩნია მითები, რომლებიც აყალიბებენ ამ ხალხის როგორც კოლექტიურ, ასევე ინდივიდუალურ მიდგომას იმ მოვლენისადმი, რომელსაც ზოგი ოპტიმისტი „ცხოვრებას“ უწოდებს. ამ წიგნში მე შევეცადე გადმომეცა იმ მითიური აზროვნების თავისებურება, ქართველებს რომ ახასიათებს“.

წიგნის შეძენა შეიძლება „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში.

„მგზავრები“ მოსკოვში დააჯილდოეს

ჯგუფი „მგზავრები“ მოსკოვში დააჯილდოვეს. ქართველი მომღერლები დიდი ხანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მართავენ კონცერტებს და რუსეთის და უკრაინის ხშირი სტუმრები არიან.

რუსეთში ჩატარებული კონცერტების გამო, მგზავრები არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი, თუმცა მისი წევრებისთვის ის მსმენელია მნიშვნელოვანი, ვისაც მათი შემოქმედება უყვარს.

ჯგუფი „მგზავრები“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში დებიუტი, სადაც მათ 4 ნომინანტს ხმათა უმრავლესობით აჯობეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ტაირა ბენქსმა საზოგადოებას თავისი შვილი წარუდგინა

სუპერმოდელმა და ტელეწამყვანმა ტაირა ბენქსმა საზოგადოებას პირველად უჩვენა თავისი ახლად დაბადებული შვილი. მისი ფოტოსურათი ბენქსის ინსტაგრამშია განთავსებული.

– ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემ ცხოვრებაში, – დაწერა ინსტაგრამში ფოტოსურათის კომენტარში სუპერმოდელმა და დაამატა, რომ ის, მისი შვილი და ბავშვის მამა ერიკ ასლი მკითხველებს საკუთარ სიყვარულს უზიარებენ.

ბენქსმა ასევე აღნიშნა, რომ ეს ერთგვარი „მოგზაურობა“ არცთუ უბრალო პროცესი გამოდგა.

– როდესაც მე ჩემი შვილის უმშვენიერეს თვალებს ჩავყურებ, ვფიქრობ ყველასა და ყველაფერზე, ვისაც შეხება ჰქონია ფერტილურობის ან ფეხმძიმობის პრობლემებთან და მათთვის ყოველდღე ვლოცულობ, – განაცხადა ტაირა ბენქსმა.



დალაქით უკმაყოფილო ქალმა მისი მოკვლა ცადა

ამერიკელი ქალბატონი ენდრიან ბლანშ სუეინი რომელსაც თავისი ახალი ვარცხნილობა არ მოეწონა, კალიფორნიაში მდებარე სილამაზის სალონში იმისთვის დაბრუნდა, რომ დალაქი ჩაეცხრილა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა იმის გამო ვერ მოახერხა, რომ იარაღმა გაუჭედა. დალაქი მენი მონტერო არ დაშავებულა.

როგორც მონტერო ამტკიცებს, სუეინმა ვარცხნილობაში 20 დოლარი გადაიხადა და ამდენივე ჯიბის ფულად მისცა. მისი თქმით, ქალმა სალონი კმაყოფილმა დატოვა. ერთი საათის შემდეგ კი უკან დაბრუნდა, ვარცხნილობის გამო უკმაყოფილება გამოთქვა, სამჯერ შეეცადა მისთვის იარაღიდან ესროლა. მონტეროს თქმით, სალონში დაბრუნებულ სუეინს უკვე სულ სხვა ვარცხნილობა ჰქონდა.

მონტერომ და მისმა კოლეგამ კრის ტატუმმა ქალი დააკავეს და ასეთ მდგომარეობაში ჰყავდათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მოსვლამდე. ტატუმმა ასევე დაადასტურა, რომ ქალბატონი სალონში სულ სხვა ვარცხნილობით დაბრუნდა. მისი თქმით, პოლიციელებმა დაკავებულის მანქანაში ასევე სამართებელიც აღმოაჩინეს.

ქალს ბრალს მკვლელობის მცდელობაში წაუყენებენ.

მექაში ნეიმარის რეკლამა აიკრძალა

ქალაქ მექას ხელისუფლებამ განკარგულება გასცა ჩამოხსნან სარეკლამო პლაკატები, რომელზეც ესპანურ კლუბ „ბარსელონას“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ნეიმარია გამოსახული. ამის მიზეზად ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება დასახელდა.

ქალაქის ხელმძღვანელმა ოზმან მალიმ ამერიკულ კომპანია „მაკდონალდს“, რომელმაც სარეკლამო პლაკატები განათავსა, მოუწოდა, მეტი პატივისცემა გამოიჩინოს ყოველი მუსლიმანისთვის წმინდა ქალაქისა და მორწმუნეთა გრძნობების მიმართ.

ამასთან მექას ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს დაეზუსტებინათ, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია მუსლიმანების უკმაყოფილება. სავარაუდოდ, უკმაყოფილების მიზეზი გახდა ნეიმარის რელიგიური მიმართულება, ის ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარია.

სარეკლამო აქციის ფარგლებში კაფეს სტუმრებს შეეძლოთ ფორვარდთან პირადად შეხვედრისთვის ებრძოლათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

კაცი ბაზარში გოჭს ყიდის და მის ქებადიდებაშია:

– აბა გოჭი, კაი გოჭი, უნაკლო და უზადო, კაი გაპუტკუნებული.

ამ დროს კლიენტი ეუბნება:

– კი, იცოცხლე, კაია, მარა ასე რომ აქებ უზადო და უნაკლოაო, მარჯვენა ყური რომ აქვს ოდნავ მოგლეჯილი?

– შენ, ძამა, თუ შესაწვეულად და შესაჭმელად გინდა, მართლა უნაკლოა, და თუ რაიმე გაქვს მისთვის სათქმელი, მარცხენა ყურში უთხარი!

●●●

კაცი ცოლს მოიყვანს. პირველი ღამეა, კაცი გაშიშვლდება და ცოლის წინ დადგება. ქალი შეხედავს და გაოგნებული აყვირდება:

– დედა... აია ი?... ია აი?...

– რა იყო, შე შობელძაღლო, ახლა სწავლობ დედა ენას?...

●●●

უცხოურ კომპანიაში მომუშავე ქართველი გარდაიცვალა. პანაშვიდზე მისული მისი ხელმძღვანელების დანახვაზე, ცოლმა დაატირა:

– სთენდაფ კოლიაააა... ოფენ იორ აის კოლიااااა!...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მიყიდე ქურქი, თორემ გავცივდები, მოვკვდები და უფრო მეტი დაგეხარჯება...

– სამაგიეროდ, ერთხელ და სამუდამოდ.

●●●

კაცი მღვდელთან მივიდა და ეუბნება:

– მამაო, ეს ბოლო ორი დღეა ნამეტანი მტკივა თავი და იქნებ მირჩიო რამე?

– მონათლული თუ ხარ, შვილო ჩემო?

– დიახ, მამაო.

– დილით და საღამოს თუ ლოცულობ?

– ვლოცულობ, მამაო.

– მარხვას თუ ინახავ?

– რა თქმა უნდა, მამაო.

– ცოლს ხომ არ ღალატობ?

– არა, მამაო.

– აღსარებას რეგულარულად აბარებ?

– დიახ, მამაო.

მღვდელი ჩაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ ეუბნება:

– იცი რას გეტყვი, შვილო ჩემო, შარავანდედი გიჭერს პატარაზე, მაგრამ საცაა გაზაფხული მოვა და გაიწევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
17 თებერვლისათვის

ვერძი – დილიდანვე მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებით. პრობლემების მოსაგვარებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. საქმიანი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. **კურო** – ემოციური დღეა. ნერვები მოთოკეთ. კონფლიქტურ სიტუაციებს ერიდეთ. **ტყუპები** – დღეს გიმართლებთ. ოცნება გისრულდებათ. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საღამოს ახალ ამბავს შეიტყობთ. **კირჩხიბი** – სასურველია, ოჯახის წევრებთან ერთად აქტიურად დაისვენოთ. ეს თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთო გავლენას მოახდენს. **ლომი** – აქტიური, შემოქმედებითი დღეა. თუ გარს თანამოაზრეებს შემოიკრებთ, სასურველ მიზანს იოლად მიაღწევთ. **ქალწული** – ენერგეტიკულად მძლავრი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებისათვის. ნებისმიერი წამოწყება, თუნდაც სარისკო, გაამართლებს. **სასწორი** – მშვიდი, კეთილისმყოფელი დღეა. თავს ბედნიერად გრძნობთ. **ღრიანკალი** – ჰარმონიული პერიოდი გრძელდება, თუმცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას სიფრთხილე გმართებთ. იყავით მშვიდად ნებისმიერ სიტუაციაში. **მშვილდოსანი** – სიზარმაცის გამო შესაძლოა მცირე გაუგებრობაში აღმოჩნდეთ. კარგი პერიოდია საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. სრულფასოვან დასვენებაში ხელს პირადი პრობლემები შეგიშლით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სასურველი არ არის. **თევზები** – თქვენთვის ხელსაყრელ წინადადებას თუ შემოგთავაზებენ, შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ენერგია დაზოგეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი, მხარზე გადასაკიდი ძველებური, ნაქსოვი ჩანთა; 5. მხარე გერმანიაში; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. კინოცენტრი ჩეხეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 20. გარეული ცხოველი, მადრიდის სიმბოლო.

თარაზულად: 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. პირი, რომელიც პირველი სინჯავდა მეფის საჭმელს უსაფრთხოებისთვის; 8. სასიამოვნო სურნელება; 9. თონეში გამომცხვარი პური; 13. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 14. არწივის ბარტყი; 18. იურისპრიდენციაში, სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა, მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. გერმანელი ფილოსოფოსი; 21. ღვინის სასმისი; 22. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 23. ჩინელ ჩინოვნიკთა ევროპული სახელწოდება ძველად; 24. ეკოლოგთა და მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფლობერი; 2. ბულბული; 3. ნიაღვარი; 4. პამირი; 5. კარფური; 8. მიჩმანი; 9. მისისიპი; 12. ჰელვეცია; 13. უდინეზე; 16. სარასატე; 17. მადიარი; 19. ემისია; 20. ბორანო.

თარაზულად: 6. ალტრუიზმი; 7. ჯანდარა; 8. მუღამი; 10. შერბური; 11. ლუდი; 14. ზედაზენი; 15. ალკატელი; 18. ფაველა; 21. მაზანდა; 22. კონგო; 23. ასკერი; 24. პერგამონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვირტუოზი; 2. ალუბალი; 3. აკაბა; 4. კაზუარი; 5. არაბიკა; 10. მასანდრა; 11. ვაშინგტონი; 12. ინიესტა; 15. ამაშუკელი; 16. ბაიერი; 17. გუანაკო; 20. ვოლვო.

თარაზულად: 6. ცივილისტიკა; 7. კაბერნე; 8. ანაკლია; 9. ქორალი; 13. ყავა; 14. ბარონი; 18. ბერნადოტი; 19. ხუნდი; 21. ჭონია; 22. რიბოკი; 23. კოსტელიჩი; 24. ბეისბოლი.

გურანდა გაბუნიას ბათუმში ელოდებიან

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს გურანდა გაბუნიას ბათუმში ელოდებიან.

მსახიობი, რომელიც სპეციალური მიწვევით თამაშობს გრიბოედოვის თეატრში, ბათუმში „ალუბლის ბაღით“ წარდგება მაყურებლის წინაშე.

გრიბოედოვის თეატრი ორდღიან გასტროლს ახორციელებს ბათუმში, სადაც ბათუმის თეატრის ახალ სცენაზე ითამაშებს ანტონ ჩეხოვის უკანასკნელ და ყველაზე ცნობილ პიესას.

სცენური ვერსიის რეჟისორი ანდრო ენუქიძეა. ამ ვერსიაში პარიზში მყოფი მოხუცებული რანევსკაია იხსენებს თავის ცხოვრებას. მტკივნეული მოგონებები და აზრები გაუთავებლად ეხევა თავს. „...უყვარს თუ არა მას თავისი სამშობლო, რატომ გაიყიდა ალუბლის ბაღი და ბოლოს, რა ბედი ეწია ფირსს? იგი ესაუბრება ვინმე ქალს. ვინ არის იგი, ანია, ვარია, შარლოტა? და რატომ არის ეს დიალოგი უსასრულო?“

გურანდა გაბუნიასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობენ ირინა მეღვინეთუხუცესი, ოლეგ მჭედლიშვილი, არჩილ ბარათაშვილი, მიხეილ ამბროსოვი და მიხეილ არჯევანიძე.

სპექტაკლის პრემიერა გასულ წელს შედგა. უკრაინაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ტავრიის მელპომენა“ გურანდა გაბუნიამ რანევსკაიას როლისთვის მიიღო დიპლომი ნომინაციაში „თეატრისადმი ერთგული მსახურებისთვის“.

ქეთევან კიკნაძე ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს

მსახიობი ქეთევან კიკნაძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობას აკრიტიკებს. გიგა ლორთქიფანიძის მეუღლეს მიაჩნია, რომ როდესაც ღირსებაზეა საუბარი, იქ ყველაზე მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ქეთევან კიკნაძე:

– ვერ გახდა ჩემი ოჯახის წევრი ღირსეული, რომ პრემიერას დასწრებოდა ოპერაში. მე იმ მუსიკოსს რა ვუთხრა, სარაჯიშვილი რომ არ იცის, ვინ არის. მეეზოვემაც კი იცის საქართველოში, ვინ იყო. როდემდე, პირადი სიმპათიების მიხედვით თანამდებობები, ჯილდოები და სხვადასხვა სურვილები. არავითარი სურვილი არ მქონია დასწრების, მე მხოლოდ ვეხმაურები... ცოტა ფრთხილად, ღირსებაზე როდესაც ლაპარაკობენ.

რა საინტერესოა, თვითონ კინწურაშვილი ღირსია ოპერისა და ბალეტის თეატრში იყოს მთავარ დირიჟორად? თუ იცის მისი ისტორია და ტრადიციები. იცის თუ არა მისი ლეგენდარული მომღერლები? ვულოცავ ყველას, რაც გაკეთდა. მჯერა ამ თეატრის წარმატებების. საოცარი ახალგაზრდობა მოდის, საოცარი ახალგაზრდობა კონსერვატორიიდან. დამილოცნია გზა მათთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თამარ გვერდწითელმა ოლეგ გაზმანოვთან დუეტი ჩაწერა

ქართველმა მომღერალმა თამარ გვერდწითელმა რუსული ესტრადის ვარსკვლავ ოლეგ გაზმანოვთან დუეტი ჩაწერა. სიმღერისა და ტექსტის ავტორი ოლეგ გაზმანოვია.

მომღერლებმა სიმღერაზე კლიპიც გადაიღეს და მისი პრემიერა გრანდიოზული ღონისძიებით აღნიშნეს. ვიდეორგოლის რეჟისორი სერგეი გრეია.

როგორც ოლეგ გაზმანოვმა განაცხადა, აქამდე მსგავს პროექტში მონაწილეობა არასოდეს მიუღია:

– ეს არის ორი სახალხო არტისტის ძალიან ორიგინალური და საინტერესო დუეტი. ვიდეორგოლში ბოშათა რომანტიკული ატმოსფეროს სულია გამეფებული, კლიპისთვის რეჟისორიც არაჩვეულებრივი ვიპოვეთ. თანამედროვე კლიპების გადაღება მარტივია, მაგრამ როცა საქმე ბოშებს ეხება, იქ უკვე სპეციფიკური ხედვაა საჭირო, რაც ჩვენმა რეჟისორმა არაჩვეულებრივად შეძლო. ძალიან მაგარი შემოქმედებითი ჯგუფი შეიკრიბა, ყველანი ბოშების სამყაროში გადავედით.

თამარ გვერდწითელი:

– ოლეგ გაზმანოვთან დუეტი პირველად ჩავწერე. ამ სიმღერაზე არაადამიანურ პიროობებში ვიმუშავეთ. სიმღერამ შემაგრძნობინა ის მისია, რაც მაკისრია. საოცარი მელოდიაა, საოცარი ტექსტი. ვიდეორგოლიც ძალიან ლამაზი ნამუშევარი გამოგვივიდა. ჩვენ ეს სიმღერა წარვუდგინეთ ჟურნალისტებს და მათი მხრიდანაც მოწონება დავიმსახურეთ. ახლა უკვე მაყურებლის ჯერია, მათ უნდა ნახონ და შეაფასონ ჩვენი დუეტი, რომელიც ჩვენთვის, ორივესთვის სადებიუტოა.

ათონელის თეატრის მეორე სართული დაიწვა

თბილისში, გვიან ღამით ხანძარი გაჩნდა ათონელის თეატრში. ხანძარს 14 ერთეული სახანძრო, სამაშველო და სპეციალური ტექნიკა აქრობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, დამწვარია დაახლოებით 150 კვადრატული მეტრის ფართობი, რაც თეატრის მეორე სართულს და სასცენო გადახურვას მოიცავს. საბედნიეროდ, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

რამ გამოიწვია ხანძარი, ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდო მიზეზად მოკლე ჩართვა სახელდება. ათონელის თეატრში ფუნქციონირებდა ბავშვთა და მოზარდთა თეატრი „მაჩაბელა“, რომელიც თავშესაფრის გარეშე დარჩა. „მაჩაბელა“ დროებით ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნაბადი“ შეიფარა.

რამდენია ზარალი ათონელის თეატრში და რა დროში მოხდება მისი აღდგენა, ჯერჯერობით უცნობია.

ანა ახვლედიანი გაშიშვლდა

დოლჩე და გაბანას რჩეული ქართველი მოდელი ანა ახვლედიანი გაშიშვლდა. ფოტო ლამაზმანმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა. ანას ფოტოს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთგვაროვანი გამოხმაურება და უამრავი შეფასება მოყვა.

ანა ახვლედიანი ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება და ახალი ბრენდების ფოტოსესიებში იღებს მონაწილეობას. მასზე აქტიურად წერენ უცხოური გამოცემები. ცნობილი ფაქტია, რომ ანას საკუთარი ბრენდის სახედ იწვევენ სხვადასხვა პარფიუმერული კომპანიები.

ანა ახვლედიანს ბიანკა ბალტის ღირსეულ შემცვლელად ასახელებენ. მას ლივ ტაილერისა და ბიანკა ბალტის ნაზავსაც ეძახიან. ის მუშაობს ყველგან, სადაც მოდელის სამუშაოა, საქართველოში დიზაინერებთან და ჟურნალებთან თანამშრომლობს, იტალიასა და საფრანგეთში კი სამოდელო სააგენტოების მიერ შეთავაზებულ პროექტებში მონაწილეობს. არის რამდენიმე ბრენდის სახე.

ანა ახვლედიანს ერგო პატივი თბილისის მოდის კვირეულზე ანუკი არეშიძის ჩვენება გაეხსნა. ანას აგენტი გიორგი პაპიძეა. ის ამავე დროს „ბრეივ მოდელ მენეჯმენტის“ წარმომადგენელია და ამ სააგენტოს პოპულარულ მოდელებთან უწევს მუშაობა. იგი პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც ბიანკა ბალტის ოფიციალური წარმომადგენელი გახდა და მსოფლიოს ულამაზეს მოდელს დაუმეგობრდა კიდეც.

სამგლოვიარო განცხადებები

შვილი თამილა გაფრინდაშვილი, შვილიშვილები: ნინო, მარიკა, ირინა გოგოლაშვილები. სიძეები მერაბ მეგრელიშვილი და ლექსო ჭიჭინაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ასანიძე-გაფრინდაშვილი

პანაშვიდი: 17 თებერვალს;
გამოსვენება: 18 თებერვალს 14 სთ-ზე;
მისამართი: ფიქრის გორა, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 5.

სამძიმარს ვუცხადებთ ირინა გოგოლაშვილს ბებიის

მარიამ ასანიძე-გაფრინდაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეგობრები

ჯემალ კუხალაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი მძახლის, დიდი მეგობრისა და ყოველმხრივ ღირსეული პიროვნების, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ

პეტრე მერაბიშვილის

გარდაცვალებას და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 16, 17 თებერვალს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 18 თებერვალს, 14 საათზე, ვაკის სასაფლაოზე.

მისამართი: ზემო წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №40.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ციალა ბიჩინაშვილის (ბებოს)

მოგონება

რა ცუდია უშენობა, ჩვენო ტკბილო ბებო,
გვებრალება სერგო ბაბუ, სიკენტე რომ ერგო,
თვალებიდან დღე და ღამე დასდის ცრემლის ღვარი,
თეთრ ღამეებს, მწარე განცდებს ვერ დაუდო ზღვარი.
დადის, გეძებს სევდიანი, ვერ პოულობს ადგილს,
ეფერება შენს სურათებს, შენს უწმინდესს მანდილს,
ნეტავი, შენ როგორღა ხარ? გვაგრძნობინო იქნებ,
მანდ კითხულობ დაპირებულ „ერთ პარახოდ წიგნებს“?
იქნებ სასაფლაოს ნიავს დააბარებ პასუხს,
გვენატრები... ვაი, ვაი, რომ ჩაბარდი წარსულს,
ცივი მიწა დაგეუფლა, გადევს გლოვის ჯვარი,
წმინდა გაბრიელის ხატი შენს საწოლთან არის,
ისევ ისე, შენ რომ თავად დააბრძანე ადრე.
ბებო, ნეტავ ძველებურად ისევ სახლში გვყავდე,
ოქროს სათვალეს გიყიდდი, რომ შეგპირდი მაშინ,
სხივებს ოქროსფრად მოგფენდა შენს დათოვლილ თმაში,
ეჰ, ცხოვრება რა ყოფილა, რა ძალიან რთული,
აღარ ვიცი, ბებო, როგორ მოვიშუშო გული.

ლუკა მანჯგალაძე

პროგრამა

ოთხშაბათი
17 თებერვალი

06.30 მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვებრინგ**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება სტოკჰოლმში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **22.50** "ეპოქის ფრაგმენტი" – "ჩესვუდის" რაინდები **22.59** "კომუნიკატორი" **23.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **1/8** ფინალური მატჩი: „**რომა**"-„**რეალი**" **01.40** მხ/ფ "**ელი-საბედ: ოქროს ხანა**" (კ.ბლანშეტი)

08.00, 10.10, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **8** სერ. **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პაპარაძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ილბლიანი სლევინი**" (ბ.უილისი) **02.40** სერ. "**პუპეტა**" **3** სერ. **04.20** ერთხელ საქართველოში **04.50** მხ/ფ "**კოლიბრი**" (ჯ. სტეტჰემი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery. ისტორიის საიდუმლოებათა ამოხსნა ოლი სტიდსთან ერთად **10.00** ან/სერ. "**პაპარი ლეგენდა აანგის შესახებ**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ახალი გოგო**" **15.00, 19.30** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ფარსკვლავური ომები**" **20.30** LIVE **22.30** მხ/ფ "**პიტბული**" **0.35** ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი **1.30,** URBAN STORIES **2.25** ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფინდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცლისგან **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.10** ქართული ან/ფ **15.20** დ/ფ **16.00** კონცერტი **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ორი სამშობლო" **20.40** ძილი ნებისა "წმ. ნინო ისმენს მაცხოვრის შესახებ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **07.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 02.00**"კონტაქტი" **07.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **07.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ჟუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 02.30** სერ. "**ბერძენი ქალი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**დამიბრუნე სიყვარული**"

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

17 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.4921
- ევრო — 2.7921
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6118
- 100 რუსული რუბლი — 3.2213

ამინდის პროგნოზი 17 თებერვლისთვის

16 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

ლუის სუარესი

ზღვარს მიღმა. ჩემი ამბავი

ბარსელონის სუპერფორვარდი ლუის სუარესი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელია.

წიგნში „ზღვარს მიღმა“ ლუის სუარესი გულწრფელად საუბრობს თავისი დამაინტრიგებელი კარიერის, ყოვლად გამოუსადეგარი ქუჩის ბიჭობიდან დიდ სცენაზე მოთამაშე ფეხბურთელად ჩამოყალიბებისა და იმ შეგრძნების შესახებ, რაც თითქოს აიძულებს, რომ ზღვარს გადააბიჯოს.

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



მთავარია, მსახიობი არ გამოხვიდე

19 თებერვლიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

მერაბ ნინიძის ავტობიოგრაფიული წიგნი

მთავარია, მსახიობი არ გამოხვიდე

ეს წიგნი იმ ემიგრანტის ჩანაწერებია, 20 წლის წინ რომ დატოვა საქართველო და ევროპაში იპოვა თავისი ადგილიც და როლიც, იმ სუპერპოპულარული მსახიობის ამბავი, რომლის სახელსაც თბილისურ კორპუსებზეც აწერდნენ მისი თაყვანისმცემლები.

ყველაზე მთავარი აქ მაინც მერაბ ნინიძის შესაშური გულწრფელობაა, რაც ამ წიგნში შესულ ყველა ამბავსა და ეპიზოდს სანდო, საინტერესო და განუმეორებელ საკითხავად აქცევს.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ჩავი: „ბარსელონის ტოლ-სწორი მხოლოდ ბაიერნია“

ყველასათვის კარგად ნაცნობმა ვეტერანმა ესპანელმა, ჩავი ერნანდესმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებასთან დაკავშირებით თავის მოსაზრება დააფიქსირა და მისი ყოფილი გუნდის, ბარსელონას მთავარი კონკურენტი დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონა, ისევე, როგორც ბაიერნი, ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მერვედფინალში არიან გასულები.

ჩავი:

– მხოლოდ ბაიერნს გამოვარჩევდი იმ გუნდებიდან, რომელთაც ბარსელონასთან ტოლ-სწორად თამაში შეუძლიათ. დანარჩენები ერთი თავით დაბლა არიან. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქე არ დააფასო. თვალნათლივ ჩანს, რომ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში უძლიერესი გუნდები დარჩნენ.

შეგახსენებთ, რომ ბარსელონას ყოფილი 36 წლის ფლეიმეიქერი ამჟამად ყატარული ალსადის ღირსებას იცავს.

მ. ჟ.

ანჩელოტის გერმანულის სწავლა უჭირს

ბაიერნის მომავალმა მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ, რომელიც კლუბს სათავეში 1 ივლისიდან ჩაუდგება, უკვე დაიწყო გერმანულის შესწავლა, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ახალი ენის ათვისება უჭირს.

სახელგანთქმული იტალიელი სპეციალისტი მისი შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში ოთხ სხვადასხვა ქვეყნის გუნდს ავარჯიშებდა.

კარლო ანჩელოტი:

– როდესაც 2009 წელს იტალია დავტოვე, არც ერთი უცხოური ენა არ ვიცოდი და ამის გამო დიდი დისკომფორტი მქონდა. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც იტალიაში, საფრანგეთშიც, ინგლისსა და ესპანეთშიც სასურველ შედეგებს მივაღწიე. ვიმედოვნებ, რომ წარმატებული პერიოდი მექნება გერმანიაშიც. მართალია, ენის ათვისება მიჭირს, მაგრამ მაინც ინტენსიურად ვემზადები.

მ. ჟ.

მაგთი MAGTI

4G LTE

ისარგებლეთ თქვენი 4G ტელეფონის შესაძლებლობათა მაქსიმუმით!

მაგთიკომმა საქართველოში საუკეთესო მე-4 თაობის ქსელი გამართა, რათა კიდევ უფრო სწრაფი მობილური ინტერნეტმომსახურებით უზრუნველყოს საკუთარი მომხმარებელი: კომპანიამ ყველა 4G სადგურზე ორჯერ გაზარდა მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის.
დღეისათვის მაგთიკომს, საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზრდილი სიჩქარეც დაემატა, რის შედეგადაც მომხმარებელი მაგთიკომისგან იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.

იმისათვის, რომ ისარგებლოთ მაგთიკომის ქსელის ყველა უპირატესობით, აუცილებელია, თქვენს მეოთხე თაობის სმარტფონში მოთავსებული იყოს ახალი თაობის 4G სიმ-ბარათი.

თუ ჯერ არ გამოგიცვლიათ ბარათი, ნუ გადადებთ!

მობრძანდით მაგთის ნებისმიერ ოფისში, შეცვალეთ სიმ-ბარათი და მიიღეთ უსწრაფესი ინტერნეტი და მომსახურების საუკეთესო ხარისხი.

www.magticom.ge

11 00 11 ნებისმიერი ქსელიდან
მაგთიკომის ქსელიდან ზარი უფასოა